იანვარი
1937 წ.
№ 131

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
JANVIER
1937 — № 131

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

შვეიცარიის პრეზიდენტი ჯ. მოტა

შვეიცარიის პრეზიდენტ მოტას იუბილე

გასული წლის დეკემბერში შვეიცარიის მთავრობამ, ორივე პალატამ (პარლამენტი და კანტონთა საბჭო) და მათთან ერთად მთელმა ერმა, განურჩევლად პარტიებისა, ბ. ჯიუზეპე მოტას მთავრობის წევრათ გახდომის 25 წლის თავის და მეხუთეჯერ ამ ქვეყნის პრეზიდენტათ არჩევის იუბილე დიდის ზეიმით გადაიხადეს. ამ ამბავში არის ქვეყნისათვის მართლაც დიდი რამ სადღესასწაულო და გასახარელი. ამ 25 წლის განმავლობაში რამდენი სახელმწიფო წესწყობილება გადატრიალებულა მთელ მსოფლიოში! რამდენი მთავრობები დაცემულან სამუდამოთ! ბ. მოტა უხუცესია მთელ დედამიწის ზურგზე, როგორც მთავრობის წევრი. და ეს ხალხის სრული ნებისყოფის ძალით, რადგან შვეიცარია არის უძველესი დემოკრატია მთელ მსოფლიოში, ქვეყანა სრული თავისუფლებისა და წესრიგისა. აქ პოლიტიკოსი თავის თავს ხალხს ძალად ვერ მოახვევს. სახელმწიფო მოღვაწის ხანგრძლივობა აქ უეჭველი საბუთია მისი პირადი ღირსების, წესწყობილების სისაღის და ქვეყნის წარმატების.

სამ უკულტურეს დიდ ერთა პატარა ფრაქციები—ფრანგთა, იტალიელთა და გერმანელთა—ევროპის შუაგულას, უმშვენიერეს მთათა და ტბათა მცირე ტერიტორიაზე (სულ 41 000 კვადრ. კილომეტრია ოთხი მილიონ მცხოვრებით) შედუღებულან ერთ ძმურ და სახელმწიფოებრივ დევიზში: «ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის!», ამაში ფიცი დაუდვიათ და ეს ფიცი მოქმედებით, სისხლით, ექვსასი წლის პრაქტიკით განუმტკიცებიათ. დიახ, დიდი იდეალი დიდ ნებისყოფას და მსხვერპლს თხოულობს, მაგრამ სამაგიეროთ შესაფერ ჯილდოს, დიდ ბედნიერებასაც იძლევა! მართლაც დიდი ბედნიერებაა, რომ ამ ბუნებით უღარიბეს ქვეყანაში (აქ არ არის არავითარი მადნეულობა და სხ. ბუნებრივი სიმდიდრე) არ მოიძებნება არც ერთი ღარიბი ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით: შრომას, მომჭირნეობას, ერთიმეორისადმი ნდობას და რიდს უმდიდრეს ქვეყანათ გადაუქცევიათ. შვეიცარელმა შური-არ იცის, მეზობლის წარმატება ისე ახარებს მას, როგორც თავისი საკუთარი. დემოკრატიზმი, ბუნებრივათ აღმოცენებული წვრილ მესაკუთრეობაზე, ზეველა პოლიტიკური მოვლენა როდია,—ის აქ ჩაქსოვილია ადამიანის ყოველივე მოქმედებაში, მის ყოფაქცევაში, მის ფსიქოლოგიაში.

ზეიმს ფრიად გულითადი, ბუნებრივათ მდაბიო და იმავე დროს ერთნაირი სიამაყის ხასიათი ჰქონდა: 25 წელიწადს მთავრობაში ყოფნა ნიშნავს მოტას მხრით ხალხისადმი თავდადებით ერთგულ სამსახურს და ხალხის მხრით მოტასადმი შეუწყვეტელ სრულ ნდობას. მოტა ბუნებისაგან უხვათ დაჯილდოებულია ფიზიკური გონებით, ორატორული ნიჭით და ფრიად მაღალი განათლების კაციცაა. მაგრამ მარტო ამით ის ვერ მიაღწევდა თავისი მდგომარეობის ხანგრძლივობას, სრულ დემოკრატიაში საზოგადოებრივ ძალთა თავისუფალი თამაში მას დიდი ხანია გაისტუმრებდა, რომ ის ზედმიწევნით პატიოსანი არ იყოს, გონებასთან ერთად გრძნობიერი გული არ ჰქონდეს, რომ სამართლიანობის და უფლების გზას ურყევად არ ედგას.

ჩვიდმეტი წელიწადია მოტა შვეიცარიის საგარეო მინისტრია და ერთა ლიგაში ამ ქვეყნის დელეგაციის მუდმივი თავმჯდომარე. 1920 წ. იგი იყო შვეიცარიის პრეზიდენტი. ლიგის პირველი ყრილობა მან გახსნა. და როცა ორი თვის შემდეგ, 16 დეკემბერს საქართველოს ერთა ლიგაში დაშვების საკითხი დაისვა, მან წინააღმდეგ აგრარულ რეფორმით უკმაყოფილო ჩვენში მობინადრე შვეიცარლებისა, რომელთაც ჩამოერთვა მამულები, მხარი დაუჭირა ჩვენს ქვეყანას და ხმამაღლა წამოიძახა «დიახ!»—1922 წ. ერთა ლიგის მეექვსე კომისიის დებატებში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს და მოუკიდებლობის აღსადგენად წარდგენილ რეზოლიუციის შესახებ და ბრანტინგთან, დებრუკერთან და ერიხთან ერთად ხელი შეუწყო მის გატარებას. —1924 წ. მისი თავმჯდომარეობით ერთა ლიგამ კვლავ მიიღო რეზოლიუცია საქართველოს აჯანყების დროს. დაბოლოს, 1934 წ., როცა საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში დაშვების საკითხი დაისვა და როცა ამ დაშვებას ბევრი ჩვენი მეგობარი სახელმწიფოები ოპორტიუნისტულად მხარს უჭერდენ, პრეზიდენტმა მოტამ წინააღმდეგ მისცა ხმა და მის წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში სხვათა შორის შვეიცარიის სახელით განაცხადა: «როდესაც ის (რუსეთი) იქნება მიღებული, ერთა ლიგის საბჭო და საერთო ყრილობა იქნებიან დაყენებული რამდენიმე ღიად დარჩენილ საკითხთა წინაშე. საერთო ყრილობის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ გამოტანილი რეზოლიუციები ვერ დაიძინებენ სიკვდილის ძილითთ».

ეს იყო ერთად ერთი გაბედული, მართალი და გრძნობიერი სიტყვა, რომელიც იმ სესიის დროს წარმოითქვა აქ, ჟენევაში და ძლიერი შთაბეჭდილებაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოახდინა ყველაზე. ასეთია მოკლედ მოტას მიერ გამოჩენილი ყურადღება და გამოქომაგება მრავალტანჯულ ქართველ ერისადმი, ე. ი. მას არც ერთი შემთხვევა არ გაუშვია, რომ მის უფლების დასაცავათ ხმა არ აემაღლებიოს. ამას ქართველი ერი არასოდეს არ დაივიწყებს. ის პირველ შემთხვევაშივე ღირსეულად დააფასებს და სათანადოთ აღნიშნავს მას.

ამ უკანასკნელ ჩვიდმეტი წლის განმავლობაში პრეზიდენტი მოტა ყველა საერთაშორისო დებატებში ღებულობდა მონაწილეობას. მისი სიტყვები ყოველთვის მეტერმეტყველური, სწორი და სამართლიანობის გამომხატველი ყოფილან და ამ ნიადგზეც იგი ისე ცნობილია პირველ ხარისხოვან მოღვაწეთ, მას ისე პატივს სცემენ მთელ მსოფლიოში, როგორც თავის ქვეყანაში. ამიტომაც ისევე განურჩევლად მოუვიდა მას აღგზნებული სიტყვებით მოლოცვის ტელეგრამები ყველა ქვეყნებიდან: დუჩე და შვეიცის სოციალისტ საგარეო მინისტრ სანდლერისაგან, გერმანიის და საფრანგეთის მთავრობებისაგან, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების და ლატვიის პრეზიდენტისაგან, ინგლისის და ბულგარიის მეფეებისაგან. ღენერალ ფრანკო და ლარგო კაბალეროსაგან, და სხ.

ჟეშმარიტად, პატარა ქვეყანას დიდი ადამიანის წარმოშობა შეუძლია! ამის ცოცხალი ილიუსტრაცია პრეზიდენტი მოტაა.

კიდევ სომეხ-ქართველთა «უნიონზე»

ჩვენს ხელთაა «უნიონი»-ს ბიულეტენის მეორე ნომერი და საჭიროთ ვსთვლით ერთხელ კიდევ დავუბრუნდეთ მასში აღძრულ კითხვებს.

ბიულეტენში მოთავსებულია, სხვათა შორის, ჩვენი გაზეთის ერთი ადგილიც, აგვისტოს ნომრიდან: «ჩვენ მიულებლად მიგვაჩნია, რომ კავკასიის ერებმა სეპარატიული პოლიტიკური კავშირები მოაწყონ ერთმანეთ შორის. ორი ხალხი შეთანხმდეს დანარჩენ ორის ზურგს უკან, ან სამი მეოთხის წინააღმდეგ». ეს დედა-აზრი იყო გატარებული, როგორც მკითხველს ახსოვს, კავკასიის კონფედერაციის საბჭოს რეზოლუციაშიც, და აქვე უნდა ითქვას რუსულ «კავკაზის» საყურადღებოთ, რომ ეს რეზოლუცია მოწონებულ იქნა თავის დროზე აგრეთვე საქართველოს ეროვნულ ცენტრის მიერ, რომლის ორგანოს «დამოუკიდებელი საქართველო» წარმოადგენს.

ისმის კითხვა, გააქარწყლა თუ არა ბიულეტენის მეორე ნომერმა პირველ ნომრისგან მიღებული თაბეჭდილება, რომ «უნიონის» უსახელო ავტორებმა შეკრეს სომეხ-ქართველთა «სეპარატიული პოლიტიკური კავშირი»? არა, სამწუხაროთ, ბიულეტენის განცხადებაში, «უნიონის» სახელით, ვერ იპოვით პირდაპირ, გადაჭრილ პასუხს ამ კითხვაზე. ამ რიგათ, უკანასკნელი ეხლაც ისევე ღიად რჩება, როგორც მაშინ, თუმცა ცხადია, «უნიონისტებს» არ შეეძლოთ არ მიმხვდარიყვენ, რომ «გაუგებრობა და იჭვიანობა», რომელზედაც მათი განცხადება მიუთითებს, სწორეთ ამ გაურკვევლობაზე ემყარებოდა.

საქმეს ვერ შველის განცხადების შემდეგი ადგილიც: «მთავარი მამოძრავებელი აზრი უნიონისტებისა სწორეთ იმაშია, რომ მოისპოს ფსიქოლოგიური და მთელ კავკასიისათვის საბედისწერო კიდეგანობა ქართველთა და სომეხთა შორის. ბუნებრივია, რომ ეს ეხება ჯერ თითონ მათ და შემდეგ—დანარჩენ მეზობლებს. და რა არის ამაში საწყენი და მეტადრე «საშიში», თუ ეს «სეპარატიული» შეთანხმება გარდაიქცეს სომეხ-ქართველთა მეგობრობად?» ზედმეტია იმაზე შეჩერება, რომ ჩვენი გაზეთი არა თუ არ შებრძოლებია, პირიქით, გულწრფელათ მიესალმა ამ ორი ძველი ერის მეგობრობას, მათ შორის ყოველ «გაუგებრობისა და იჭვიანობის» გაქარწყლებას, და ამ შემთხვევაში ჩვენ გვალაპარაკებს არა მარტო გრძნობა, არამედ გონებაც, მაგრამ დავა ხომ ამას არ გამოუწვევია! ჩვენ გვინდოდა მხოლოდ გაგვეგო, რას წარმოადგენს უნიონისტების «სეპარატიული შეთანხმება». თუ იგი პოლიტიკურია, და ამას ისინი თითქო ვერ უარყოფენ, აი რა მიგვაჩნია ჩვენ «საშიშოდ» და მიუღებლად მეზობლებისთვის. ყოველ პოლიტიკას აქვს თავისი ლოდიკა, რომელიც არ არის ხშირად დამოკიდებული მის ავტორთაგან, და «ეს ეხება» არა მარტო ქართველებსა და სომხებს, არამედ აზერბაიჯანლებსა და მთიელებსაც.

«უნიონისტები» სწერენ, რომ მათ აზრად არ მოსვლიათ მეზობლების წყენინება ან კიდევ რაიმე მტრობა, პირიქით, მათ ამოქმედებს «შესამზადებელი მუშაობა ყველა კავკასიელ ძალთა დაახლოვებისა და შემტკიცებისთვის»—და ამას ჩვენ დიდის სიამოვნებით აღვნიშნავთ—, მაგრამ ისინი ხედვენ ეხლა მაინც, რომ ასეთი რწმუნება არ შველის საქმეს, და მეზობლები განაგრძობენ თავის «იჭვიანობას»! საღი პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ანგარიში გაუწიო ასეთ არასასურველ მოვლენას, თუ გინდ ის შენდა უნებურად დაიბადა. კავკასიის ერთა დამოკიდებულებას თავისი მწარე ისტორია აქვს, «უნიო-

ნისტები» თვითონ აღნიშნავენ მის დამღუპველ შედეგებს სულ ახლო წარსულში, მაშასადამე, ჩვენ ყველასი წმინდა ვალია ვერიდოთ ისეთ ნაბიჯებს, რომელიც დაახლოების ნაცვლად გვაშორებს ერთმანეთს.

ეს მით უფრო, რომ ამ უკანასკნელათ კავკასიის ემიგრაციაში გაჩდნენ ისეთი ელემენტები, რომელნიც ხელზე იხვევენ მზგავს გაუფრთხილებელ ნაბიჯებს და ახალი შუღლი და «კიდეგანობა» შეაქვთ კავკასიის ერთა შორის. აიღეთ მაგალითისთვის რუსული «კავკაზი», რომელიც მუდამ თვე ამ დამრღვევ მუშაობას ეწევა, ვითომ და «იდეოლოგიური ნიშნის» ქვეშ. ჩვენ არ გვაინტერესებს, რა თქმა უნდა, ეს წამბაძველობა, მაგრამ გულგრილად ვერ შევხვდებოდით იმ ბრალდებას «რუსოფილობაში», რომელიც მან წამოაყენა «უნიონისტების» წინააღმდეგ, და მათ არც კი შეებრძოლენ ბიულეტენის მეორე ნომერში! არ კმარა სომხურ გაზეთებიდან ამონაწერები, ბიულეტენში რომ ვკითხულობთ, ცარისტულ და ბოლშევიკურ რუსეთის მსუნაგ იმპერიალისტურ ზრახვების წინააამდეგ კავკასიაში; საჭირო იყო ბიულეტენის საზეიმო განცხადებასაც ეთქვა ამის შესახებ თავისი მტკიცე აზრი.

ეხლა კიდევ აი რას ვკითხულობთ «კავკაზის» დეკემბრის ნომერში: «კავკაზის ფურცლებზედ ჩვენ გვქონდა შემთხვევა გაგვეფრთხილებინა სომეხ ქართველთა უნიონის ბატონები, რომ მათი თაოსნობა უთუოდ გამოიწვევს რეაქციას ზოგიერთ აზერბაიჯან მთიელთა წრეებში, რომელნიც არ დააყოვნებენ უპასუხონ მათ აზერბაიჯან-მთიელთა ბლოკის შექმნის პროექტით...» და იქვე ქვევით ვგებულობთ, რომ თურქული «კავკაჯ ალმანაგი», რომელიც თვით რუსულ «კავკაზის» წერილების კრებულს წარმოადგენს, უკვე იცავს თურმე აზერბაიჯან-მთიელთა «ტერიტორიალურ-ადმინისტრატიულ გაერთიანებას» კონფედერატიულ კავკასიის ფარგლებში».

ჩვენ არ ვეხებით, რამდენად რეალისტურია და მიზანშეწონილი აზერბაიჯან-მთის «ტერიტორიალურ-ადმინისტრატიული გაერთიანება», ვგვონია, რომ ეს უსაქმოთა ფანტაზიის ნაყოფია, და გაცილებით უფრო საშურ ამოცანად მიგვაჩნია ჯერ თვით მთიელთა ტომების მჭიდრო გაერთიანება და ამ სახით კავკასიის კონფედერაციაში შესვლა,—მაგრამ ეს არ გვიშლის კატეგორიულად განვაცხადოთ, რომ «აზერბაიჯან-მთიელთა ზოგიერთი წრეები» გაცილებით უფრო შორს წასულან, ვინემ სომეხ-ქართველთა «უნიონი!»

ეს მაგალითი თავის თავათაც საკმაოთ მჭერმეტყველია, რომ მას რაიმე განმარტება ეჭიროებოდეს. «უნიონის» მოღვაწენი უკვე ხედვენ თავის გაუფრთხილებელ ნაბიჯის ნაყოფს, ნუ თუ დავიჯეროთ, ისინი ანგარიშს არ გაუწევენ მას? სომეხ-ქართველთა და აზერბაიჯან მთიელთა ასე ცალ-ცალკე დარაზმვა და ერთმანეთთან დაპირისპირება კარგს არ უქადის ჩვენს საერთო სამშობლოს კავკასიას. მაგრამ ნუ გავაზვიადებთ, თვით კავკასიის ემიგრაციის ასმაურება, აღელვება, სომეხ-ქართველთა «უნიონის» გამო, უკვე მოწმობს, რომ კავკასიის მთლიანობა და მის ოთხ ერთა სოლიდარობა არც ისე სუსტია, როგორც შეიძლება, ზოგიერთს ჰგონია. ჩვენ ვამბობთ განვლილ ბრძოლებზე, მათ რომ გასწიეს ერთათ, ჩვენი საერთო უბედურების შემდეგ, და დღესაც რომ ეწევიან ადგილობრივ დამოუკიდებლობისა და კონფედერაციის მისაღწევათ.

სავალალოა, რომ ეროვნულ სომხეთის წარმომადგენელნი უცხოეთში, დღესაც ვერ მიმხვდარან, თუ რამდენათ დაშორებულია მათი ტაქტიკა მათივე ერის სულისკვეთებისა და მოქმედებისგან. გაიხსენეთ, თუ გინდ, მე-30 წლების გლეხთა აჯანყებანი, რომელთაც პირველათ სომხეთში იჩინეს თავი, და უმალ აზერბაიჯანისა და საქართველოს გლეხები შეუერთდენ, ასე რომ ბრძოლა სამივე ერმა ხელიხელ ჩაკიდებული აწარმოა...

და ამ დროს, ე. ი. 1936 წლის მიწურულში, ბიულეტენის განცხადებაში თქვენ ვერ პოულობთ კავკასიის კონფედერაციის უბრალო თეორიულ აღიარებასაც! ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ქართველი «უნიონისტები» იყვნენ ამის მიზეზი, რადგან ერთ მათგანს, საანკეტო ფურცლებს რომ არიგებს, კონფედერაციის პირველ «მოციქულად» მოაქვს თავი! მაშ რაშია საქმე? «უნიონის დეკლარაცია (ბიულეტენი № 1) არის მხოლოდ გონივრული, შესამზადებელი მუშაობა ყველა კავკასიელ ძალთა დაახლოებისა და შემტკიცებისათვის და არა პრეტენზია საბოლოო იურიდიულ ჩამოყალიბებაზედ». ჩვენ ზევით უკვე მოვიტანეთ ამ ამონაწერის ერთი ნაწილი ბიულეტენის მეორე ნომრის განცხადებიდან, მკითხველის ყურადღებას ვაქცევთ ჩვენ მიერ ხაზგასმულს, და ის დარწმუნდება, რომ «უნიონისტები» დღესაც არ ყოფილან «მომწიფებული» კონფედერაციისათვის!

მაშ რას ნიშნავს მათი მოკრძალება კავკასიის «იურიდიულ ჩამოყალიბების» წინაშე?!

მაგრამ ჩვენ გავახსენებთ მათ უფრო სერიოზულ, ნამდვილ დრამატიულ მოლაპარაკებას, რომელიც ვაწარმოვეთ, მთელი 1925 წლის გასწვრივ, კავკასიის ოთხივე ერის საბჭოს წევრებმა, პარტიულ წარმომადგენელთა თანდასწრებით, სწორედ კონფედერაციის შესახებ. რით გათავდა ის? სრული ფიასკოთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ იყო ამის მიზეზი? სომხები. რატომ? იმიტომ, რომ სომხები ამბობდენ: ჩვენ პრინციპიალურათ თანავუგრძნობთ კონფედერაციას, მაგრამ არ შეგვიძლია მას ხელი მოვაწეროთო. თავის თავათ ცხადია, რომ მათ ამისათვის საბუთებიც მოჰქონდათ: საზღვრების დავა კავკასიის შიგნით და «გაერთიანებული სომხეთი», ე. ი. იგივე დავა კავკასიის გარეთაც, ოსმალეთთან...

როგორც შედეგი, შეწყდა თანამშრომლობა «ოთხთა საბჭოსი», თუმცა უკანასკნელი ფორმალურად დღესაც არ არის გაუქმებული და, მაშასადამე, შეიძლება მისი განახლებაც, თუ სომხები მზათ არიან კავკასიის კონფედერაცია თავის სადღეისო პროგრამად აღიარონ. განა ისინი არ იყვენ, სხვა სამ ერთან ერთათ, 1921 წლის დეკლარაციას რომ მოაწერეს ხელი, სადაც კავკასიელ ერთა «ალიანსი» იყო გამოცხადებული? განა ისინი არ იყვნენ, ვინც იმავე წესით, საქართველოს აჯანყების მეორე დღეს, 1924 წლის სექტემბერს, მეორე დეკლარაციას რომ მოაწერეს ხელი, სადაც ლაპარაკი იყო კავკასიის «ეკონომიურ და პოლიტიკურ მთლიანობაზე»? და ნუთუ 12 წლის შემდეგაც არ დამდგარა დრო, რომ ამ ალიანსა და მთლიანობას თავისი სახელი დაერქვას?

ჩვენ გულწრფელი სიხარულით ვამჩნევთ ერთგვარ ძვრას პასუხისმგებელ სომხების ფსიქოლოგიაში, მაგრამ ტყუილა ჰგონიათ ქართველ «უნიონისტებს», რომ ეგ ევოლუცია მათი გავლენით ხდება. არა, საერთაშორისო ვითარება ერთობ შეტრიალდა, მოწოლილია დიდი ამბები, არ ვიცით რას გვიქადის ხვალინდელი დღე... და სომხებიც, რა თქმა უნდა, მწვავეთ გრძნობენ გამრიყველი (იზოლიაციის) ტაქტიკის შეცვლის საჭიროებას. მაგრამ ის გზა, რომელიც მათ აირჩიეს, ჩვენი ორიოდე თანამემამულესთან ერთად, არ არის სწორი—აი რას ვეუბნებით ჩვენ მათ მეგობრულად, ძმურად.

კავკასიის ოთხივე ერის ძმური თანამშრომლობა მოასწავებს მათი საბოლოო და გადაჭრილ ორიენტაციას თავის თავზე, მარტო თავის თავზე კავკასიის დღევანდელ საზღვრებში. რუსოფილობამ, ისე როგორც თურქოფილობამ საკმაო ზიანი მიაყენა კავკასიას, რომ ჩვენ ეხლა ერთ მათგანს მივეკედლოთ. ისიც არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ მოსკოვი და ანკარა ჯერ კიდევ მეგობრობას ეფიცებიან ერთმანეთს, მაშასადამე, ერთის ან მეორის კავკასიის ამა თუ იმ ერის მფარველად დასახვა უგუნურებაა, თუ მეტი არა.

ჩვენთვის საკმარისია ანგარიში გავუწიოთ მარტო იმ ხალას ფაქტს, რომ კავკასიას დღეს რუსეთი პყრობს, და აქედან მთელი ჩვენი ძალღონე მიმართული უნდა იქნას ამ მპყრობელის წინააღმდეგ. მისი ჯარების კავკასიის საზღვრებიდან განდევნისკენ. კავკასიის ერებს არ ძალუძთ ორ ფრონტზედ ბრძოლა, ეს ჭეშმარიტება კარგად უნდა ჩავიბეჭდოთ თავში. ჩვენ არ გვავიწყდება, რომ სომეხ-თურქთა დამოკიდებულებას ართულებს ტრაღიკული წარსული, მაგრამ გონიერი პოლიტიკა წარსულით კი არ უნდა საზრდოებდეს, არამედ მომავლით.

და ამიტომ დიდის კმაყოფილებით წავიკითხეთ «უნიონისტების» შემდეგი სიტყვები ბიულეტენის მეორე ნომრიდან «სინამდვილეში უნიონისტებსა სურთ აღდგენა რეალური და მტკიცე საკავშირო დამოკიდებულებისა კავკასიის შიგნით და კეთილმეზობლურ განწყობილებისა მის გარედ—ყველასთან, ვისაც განზრახვა არა აქვს ხელი შეაბოს კავკასიის ერთა თავისუფლებასა და ტერიტორიას». ჩვენ მიერ ხაზ გასმული სიტყვები ნიშნავს იმას, რომ კავკასიის ოთხივე ერი თანაბარი თავდადებით დაიცავენ თავის საერთო სამშობლოს და ესწრაფვიან კეთილმეზობლობას იმათთან, ვინც მათ საზღვრებსა და სუვერენობას პატივსა სცემს.

კავკასიის პრობლემის ამგვარ მარტივ და ნათელ ფორმაში ჩამოსხმა ჩვენ გაგვიადვილებს, იქვს გარეშე, ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენას მეზობელ ოსმალეთთან და სპარსეთთან, ესენი უკეთ გაგვიგებენ ჩვენს მისწრაფებასა და ზრახვებს და, რაც მთავარია,—მათი სახელმწიფოებრივი ინტერესები. ჩვენის ღრმა რწმენით, ჯერ თუ არ ეწინააღმდეგება ჩვენს ინტერესებს, სავსებით ეთანხმება მათ. მათ ჩვენზე უკეთ იციან, რომ რუსეთის კავკასიაში ყოფნა მუდმივი და განუწყვეტელი მუქარაა ოსმალეთისა და სპარსეთის მიმართ. წითელი თუ თეთრი რუსეთის იმპერია თანაბრად მიუღებელია და სახიფათო როგორც მათთვის, ისე ჩვენთვის.

მაშასადამე, ამ კითხვაში თუ არაფერი სადაო არსებობს სომხებსა და სხვა სამ ერთა შორის, რა გვიშლის განვაახლოთ ჩვენი ძველი თანამშრომლობა? შინაური საზღვრების დავა ხომ თუ მთლად არა, ნახევრად მაინც იჭრება კონფედერატული პრინციპის აღიარებით? ესეც არ იყოს, ჯერ 1921 წლის დეკლარაციაში ვაღიარეთ ოთხივე ერმა სავალდებულო არბიტრაჟი.

ამიტომ ჩვენ წმინდა მოვალეობად ვრაცხთ მოვუწოდოთ ძმურად და მეგობრულად სომხეთის პასუხისმგებელ პირებს და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, ისე როგორც კავკასიის კონფედერაციის საბჭოს, რაც შეიძლება საჩქაროთ შეუდგენ კონკრეტიულ მოლაპარაკებას ამ თანამშრომლობის აღსადგენათ. დრო არ იცდის!

სტალინის ახალი კონსტიტუცია

(დასასრული)

საბჭოთა ხელისუფლებამ იმთავითვე მიაღწია თავის მოქალაქეთა გათანასწორებას... სიღარიბესა და მონურს ყოფაში, და ბოლშევიკურ რევოლიუციის ეს მონაპოვარი ურყევი რჩება და დარჩება, მიუხედავად კონსტიტუციის იმ ტრაბახით სავსე მუხლისა (მე 11), რომელიც ამბობს: «საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ცხოვრებას განსაზღვრავს სახელმწიფოს სახალხო ეკონომიური გეგმა, რომლის დანიშნულებაა საზოგადო სიმდიდრის ზრდა და მშრომელთა ქონებრივ და კულტურულ დონის მტკიცე მაღლა-მაღლა სვლა».

საბჭოთა კავშირის მოსახლეობის სიღარიბეს, მის უმწეო ეკონომიურ მდგომარეობას ვერა უშველის, ვიდრე დარჩება ახალი კონსტიტუციით ისევ დადასტურებული ის «სახელმწიფოს სახალხო სამეურნეო გეგმა», რომელიც სახელმწიფოსა და მშრომელის ურთიერთობაში პირველის კაპიკს მანეთად ხდის და მეორის მანეთს კაპიკად აქცევს.

ვერა ეშველება იმავ მოქალაქეთა თავისუფლებას, ვიდრე მათის გონებისა და მოქმედების ხელმძღვანელად კომუნისტური პარტია და მისი მბძანებელი დარჩებიან.

ასეთივე სიცრუე და სიყალბეა ახალ კონსტიტუციაში ძველიდგან გადმოტანილი ცალკე რესპუბლიკების კავშირიდგან თავისუფალ გასვლის უფლება.

ყოველ უფლებას თავისი გამოსახვის საშუალებაც თან ახლავს,—თხოვნა, განცხადება, პირდაპირი განხორციელება-უფლებისა ვისიმე დაუკითხავად.

როგორ უნდა გამოსახოს საბჭოთა კავშირის რომელიმე რესპუბლიკამ თავისი კავშირიდგან გამოსვლის სურვილი? პეტიციის სახის თხოვნით, განცხადებით?

1924 წელში საქართველომ ამათზე უკეთესი საშუალება იხმარა,—აჯანყდა. აჯანყებაზე უფრო ძლიერი გამოთქმა იმისა, რომ მას კავშირში დარჩენა აღარ სურდა, სხვა რაღა იქნება.

შეიწყნარა საბჭოთა კავშირმა ასე მძლავრად გამოსახული ქართველი ერის სურვილი?

ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ სისხლის ზღვაში ჩააღჩო მისი ასეთი წადილი.

სიცრუე და სიყალბეა თვით კავშირი და ცალკე რესპუბლიკების თავისუფლება და კონსტიტუციები, რადგან «საკავშირო კანონები სავალდებულონი არიან ცალკე რესპუბლიკებში» (მ. 19), და «თუ საკავშირო და ცალკე რესპუბლიკის კანონები ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან, სავალდებულო პირველია, საკავშირო.

საკავშირო მინისტრები უფროსობენ და ბრძანებლობენ რესპუბლიკების მინისტრებს.

საკავშირო სასამართლო მეთვალყურეა ცალკე რესპუბლიკების სასამართლოების და

საკავშირო პროკურორი ნიშნავს ცალკე რესპუბლიკის პროკურორს.

კანონმდებლობა, სასამართლო, ადმინისტრაცია, ეს სამი ძირითადი უფლება, ერთად რომ სახელმწიფო ხელისუფლებას ქმნიან და გამოსახავენ, თვით სახელმწიფოს, კავშირს ეკუთვნის, ცალკე რესპუბლიკებს კი ... რესპუბლიკის სახელი და მხოლოდ ცალიერი, უშინაარსო სახელი.

ბურჟუაზიულ კონსტიტუციებში, ამბობს უკვე დასახელებული «პრავდა» ს მეთაური, მარქსის სამართლიან შენიშვნისამებრო «ყოველი მუხლი შეიცავს თავის საწინააღმდეგო აზრს... თავისუფლებას საზოგადო დებულებაში და მის უარყოფას შენიშვნაში»...

ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალი, სწორედ ამას ჰქვიან: იმაზე მეტი უარის ყოფა ყველა ძირითად დებულებეებისა და ვითომდა აღიარებულ დემოკრატიულ პრინციპებისა, რომელსაც საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია შეიცავს. წარმოუდგენელია.

ცხრამეტი წლის მანძილზე ეს მესამე კონსტიტუციაა, ლენინ-სტალინის მესამე წყალობა.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს ცამეტი წლის განმავლობაში ოთხჯერ შეიცვალა კონსტიტუცია. ასე რომ კონსტიტუციების ხშირი გამოცვლა თავის თავად არაფერი საკვირველია, ოღონდ საფრანგეთში იმავ ცამეტი წლის განმავლობაში ოთხი რეჟიმი გამოიცვალა, და, რაღა თქმა უნდა, ყოველი მათგანი თავის შესაფერ კონსტიტუციას ჰქმნიდა.

ასე, 1791 წელს დამფუძნებელმა კრებამ, აბსოლუტურ მონარქიის გაუქმების გამო, საკონსტიტუციო მონარქიის კონსტიტუცია შემოიღო. 1793 წ. კონვენტმა მონარქია სულ მოსპო, რესპუბლიკა გამოაცხადა და, რასაკვირველია, ახალი, რესპუბლიკანური კონსტიტუცია გამოაცხადა; წინანდელს ხომ ვერ დატოვებდა.

1795 წელში სახელმწიფო მართვის ახალი ფორმა, დირექტორია, იქნა მიღებული. ამას არცერთი წინანდელი კონსტიტუცია არ გამოადგებოდა, და მანაც თავისი გამოსცა. 1802 წელში კიდევ შეიცვალა სახელმწიფომ სახე, გამოცხადდა კონსულობა თავისი საკუთარი კონსტიტუციით. ეს სრულებით ბუნებრივია, რადგან ყოველ რეჟიმს თავისი ძირითადი კანონი აქვს.

საბჭოთა კავშირი კი ხომ მუდამ ერთსა და იმავე რეჟიმს წარმოადგენდა,—კომუნისტურ დიქტატურას.

მაშ რად დასჭირდა ამ რეჟიმს ახალ-ახალი კონსტიტუციების შემოღება, მერე ისეთის რიხით, რომელიც ამ უკანასკნელს ახლავდა განსაკუთრებით?

ამ კითხვის ერთნაირ პასუხს იძლევა ეხლახან გამოსული ბოლშევიკთა დიდი ხნის თანამგრძნობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის მწერალის ანდრე ჟიდის წიგნი და კომუნიზმის ასეთივე თანამგრძნობის ინგლისის ტრედ უნიონების გენერალურ მდივნის ვალტერ ციტრინის მოსკოვიდან ეხლახან დაბრუნებისას გამოქვეყნებული წერილი.

პირველი თავის წიგნში სწერს:

... «ვეუბნობ, რომ დღეს რომელსამე სხვა ქვეყანაში, გინდ ჰიტლერის გერმანიაში, გონება იყოს ნაკლებ თავისუფალი, უფრო მოდრეკილი უფრო დაშინებული (ტერორმოცული (terorizé)), უფრო დამონებული»...

მეორემ კი განაცხადა, ინგლისში კიდევ მოგვეპოვება ადამიანის ისეთი საცხოვრებელი ქოხები, რომ მათ მოგონებაზე ვწითლდები ხოლმეო, მაგრამ იმ ბინებს, მოსკოვში რომ ვნახე, საპარადო, უცხოელებისთვის საჩვენებელ ბინების უკან რომ მიმალულან, იმ უკიდურესობამდე ბინძურ ბინებს ჩემ მოსისხლე მტერსაც არ ვუსურვებდი საცხოვრებლადო.

პირველი არ არის, ამისთანებს რომ სწერენ ბოლშევიკურ «ბედნიერ» ცხოვრების შესახებ. საბჭოთა სამოთხეში ნანახისა და გაგონილის ამბები დიდ სახელს ვერ გაუკეთებდნენ კომუნისტურ რეჟიმს. სახელის გამოსწორება კი მეტად საჭირო გახდა მას შემდეგ, რაც მოსკოვმა განიზრახა სარევოლუციო მოქმედების გაძლიერება და მსოფლიო რევოლუციის გაჩაღება.

აგერ ორ წელიწადზე მეტია კომინტერნის, ე. ი. მოსკოვის გახურებული მუშაობა სწარმოებს მთელ დედა-მიწაზე, განსაკუთრებით ევროპაში. ახალი ტაქტიკაა შემოღებული,—თავის მოკატუნება, სოციალისტურ და მემარცხენე ბურჟუაზულ პარტიებთან დაახლოვება და მათთან ერთად სახალხო ფრონტების შექმნა. თავიანთ თანამეფრონტებს კომუნისტები არწმუნებენ, ჩვენ დემოკრატიულ პრინციპებისთვის ვიბრძვით და ფაშიზმის წინააღმდეგო.

კომუნისტების ამ ცბიერების გამო, ცბიერების, რადგან სახალხო ფრონტები ნამდვილად მათ კომუნისტურ რევოლუციის საფეხურად მიაჩნიათ, და ამას არც მალავენ. ევროპის ერების იმ ნაწილებში, რომელნიც კარგად ხედავენ, საითკენ არის მიმართული სახალხო ფრონტების შექმნის აზრი, კომუნისტურმა ტაქტიკამ და აგიტაციამ დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია. კომუნისტები ამ სამართლიან, მათსავე თაღლითობით გამოწვეულ გულის წყრომას უკიჟინებენ, მოწინააღმდეგეთ ფაშისტებად ნათლავენ და მათ წინაამდეგ ამხედრებენ თავიანთ თანამეფრონტებს: სახალხო ფრონტი ხომ ნამდვილი დემოკრატიული მოვლენაა, და, ხედავთ, ისინი ამ დემოკრატიულ მოვლენას ებრძვიან, მაშასადამე ფაშისტები არიან.

ცხადზე უცხადესია, რომ ამ პირობებში, მეტადრე როდესაც გაძლიერდა და გახშირდა კომუნისტურ სამოთხის «ბედნიერებათა» მხილება, მოსკოვისათვის საჭირო გახდა თავის საკუთარ დემოკრატიზმის გამოფენა და მტკიცება, დაა.ბა რა საბუთი სჯობია ან რომელი დოკუმენტი დემოკრატიულ პრინციპებზე აგებულ კონსტიტუციას.

მოსკოვმაც ასეთი საექსპორტო კონსტიტუცია შექმნა.

თუ ეს არა, სხვა აზრი არ აქვს ახალ კონსტიტუციის შეთხზვას, მით უმეტეს რომ ნამდვილად ყველაფერი ძველებურად რჩება. სად ეძიოს უცხოელმა მკითხველმა ის ერთი მუხლი, რომელიც დანარჩენ 145 მუხლის შინაარს აქარცწყლებს.

აქაო და გავწმინდეთ კავშირი, სთქვან იქნება ბოლშევიკებმა, ყველა მავნე ელემენტებისაგან, არისტოკრატ, ბურჟუა, კულაკისაგან, და მხოლოდ მშრომელთა კლასი ღა დაგვრჩა, და მას ენიჭება თავისუფლებაო.

ისეთივე დიდი სიცრუეა, როგორც ყოველივე, რასაც ბოლშევიკები სწერენ და ამბობენ.

ყური ვათხოვოთ ისევ იმავ ანდრე ჟიდს. მისთვის ნება დაურთავთ მუშათა სახლები დაეთვალიერებინა, და ისიც დამტკბარა მათი სანახაობით, დამტკბარა იმ ქალაქ ბოლშევოს ხილვით, რომლის მთელი მოსახლეობა ნაცისარ, ნაკატორღალ, საპყრობილეებიდგან თავის ნებით გამოსულ ხალხისაგან შესდგება. მაგრამ მიუხედავად ბოლშევიკურ ყველა ამ მონაპოვართა, ანდრე ჟიდს ყოველი იმედი გაცრუებია და დაუკარგავს

«ენერგია მოკლებულს, ამა სოფლის სიამოვნებათა მაძებარ, სხვებისთვის უდარდელ ბურჟუაზულ ინსტინქტების წინაშე დღესაც ცოცხალი საბჭოთა კავშირში.

მოსპეს ყველა კლასები მშრომელ კლასის გარდა? სხვებს ატყუებენ თუ თავის თავს იტყუებენ?

მთლად მოსპეს იქნება ადამიანები, რომელნიც ამ კლასებს ეკუთვნოდნენ, ოღონდ თვით კლასები... ისინი ისახებიან ხელახლა კომუნისტურ რეჟიმის ჩრდილში ისე, როგორც, თუ გინახავთ პანტეონის შესანიშნავი ქანდაკება, საფრანგეთის დიდ რევოლუციის ჯარის კაცთა დროშების ჩრდილში და დოლების ხმაურობაში წინ იწევს ჭაბუკი—მომავალი მბძანებელი.

ხვალინდელი არისტოკრატია და ბურჟუაზია მზად არიან, არსებობენ და ხელსაყრელ მომენტს ელიან ხორცი შეისხან. სწორედ კომუნისტური პარტია წარმოშობს ამ კლასებს თავის წიაღიდგან.

რა ცუდი არისტოკრატები იქნებიან ბუდიონის ან ვოროშილოვის შვილიშვილები ან ამათი შვილები. გერალდიურ წიგნებით ასი წლის მეტის ძველნი არ იქნებიან?

არც მიურატის გვარია ამაზე ძველი. და სამხედრო კლასი არა თუ არსებობს, ის მომქმედი და მასთან დიდი მნიშვნელობის აგენტია უკვე დღეს.

დარბაისელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხიარული და მაძღარი ცხოვრება

მხიარული და მაძღარი ცხოვრების ქვეყანა... ასეთი ქვეყანა, და ისიც ერთად ერთი მთელ მსოფლიოში, ყოფილა თურმე საბჭოთა კავშირი. ამას წერენ და ყოველ დღე იმეორებენ კავშირის დაქირავებული კალმოსნები; მათ კვერს უკრავენ მოსკოვის კმაყოფაზე აყვანილი უცხო ქვეყნების კომუნისტური გაზეთები. კომუნისტები რეკლამის შეუდარებელი ოსტატები არიან და გონიათ, რომ ყოველ მათ უკუღმართ ნამოქმედარს რეკლამის საშვალებით წაღმართ საქმედ გაასაღებენ. მსოფლიოს მეექვსედი ნაწილის 170 მილიონიანი მოსახლეობა სრულ სიდატაკემდე და დამშევამდე მიიყვანეს და ამ მათი საქმიანობის საშინელ შედეგების დასამალავად შეთხზეს მხიარული და მაძღარი ცხოვრების ლეგენდა. მაგრამ ვინ დაიჯერებს ან შინ, ან გარედ კომუნისტურ მტკიცებასა და ფიცს, როდესაც ბოლშევიკური სიცრუის ბოლო ყოველ ფეხის ნაბიჯზე გეჩხირება თვალში?!

ევროპის დიდ და პატარა სახელმწიფოებში, თვით შორეულ ამერიკაშიაც, ურიცხვი სავაჭრო სახლები და კანტორები წარმოიშვენ, რომელნიც საბჭოთა კავშირში გასაგზავნ ამანათებით ვაჭრობენ. ყოველ დღე ათასობით იგზავნება ამანათები; აგზავნიან პურის ფქვილს გირვანქობით, შაქარს, კარაქს, ძველსა და ახალ ტანისამოს, ფართლეულს, ძაფს, საპონს და მრავალ სხვა წვრილმანს. აგზავნიან მიუხედავათ იმისა, რომ ყოველი ამანათი საზღაპრო ბაჟით არის დაბეგრილი; ზოგიერთ შემთხვევაში ეგ ბაჟი ორჯერ და სამჯერ სჭარბობს თვით ამანათის ღირებულებას. აბა სად გაგონილა და ვის უნახავს მეორე ისეთი ქვეყანა, სადაც ასეთი ამანათები იგზავნებოდეს? ასეთი ქვეყანა ერთად ერთი საბჭოთა კავშირია. ამ ქვეყნის გაჭირვებულ მოქალაქისთვის დიდ დღესასწაულს წარმოადგენს რამდენიმე გირვანქა ფქვილის, თუ სხვისი გამონაცვალი ტანისამოსის მიღება. ყოველივე ეს ხდება აშკარად, მთელი ქვეყნიერების თვალის წინ; მიუხედავად ამისა კომუნისტები ურცხვად გაჰკივიან ყოველ გზა-ჯვარედინზე, რომ საბჭოთა კავშირისთანა მხიარული და მაძღარი ქვეყანა დედამიწის ზურგზე მეორე არ მოიპოვებოს.

საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ, რომ მისი სათარეშოდ და საცარცვად გადაქცეული ქვეყნის სიღატაკე და დამშევა გარეშეებს მაინც დაუმალოს, მთელი ქვეყანა ჩინეთის კედლებში ჩაკეტა. რომ საბჭოთა კავშირში შესვლის ნება მიიღოს უცხოელმა, იგი ან კომუნისტი უნდა იყოს, ან რაიმე დიდი დამსახურება უნდა მიუძღოდეს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. მაგრამ ასე განცხრილულად შეშვებული უცხოელიც განუწყვეტელ თვალყურის დევნების ქვეშ იმყოფება. მას მიყენებული ყავს ჩეკისტი, ხელისუფლების ფარული აგენტი, რომელიც ფეხ და ფეხ დაზდევს, აძლევს ახსნა-განმარტებას, აჩვენებს რაც ნებადართულია და ახლოს არ გააკარებს ისეთ რამესთან, რაც ფარდას ახდის სინამდვილეს. ხოლო თუ რომელიმე უცხოელმა მოგზაურმა ზედმეტი ცნობის მოყვარეობა გამოიჩინა და შესძლო იმაზე მეტის გაგება, რაც ნებადართულია, მოახერხა იქაური სინამდვილის ოდნავად მაინც გაგება, სწორედ სასწაული უნდა მოხდეს, რომ იქედან მშვიდობით დაბრუნდეს უკან. განა ცოტა უცხოელს, მათ შორის კომუნისტსაც, ამოუყვია თავი სალოვკებში ან საბჭოთა კავშირის სხვა რომელიმე შორეულ კუთხეში?!

კიდევ უფრო ძნელია,—თითქმის სავსებით აკრძალულიც,—საბჭოთა მოქალაქისთვის უცხოეთში გამოსვლა, თუ იგი ან კომუნისტი არ არის, ან რაიმე დავალებით წარმოგზავნილი საიმედო სპეციალისტი. საბჭოთა ხელისუფლება თავის დამშეულ და განაწამებ მოსახლეობას იმით ანუგეშებს, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში გაცილებით უარესად ცხოვრობენ, უფრო მეტად შიმშილობენ და გაცილებით მეტ გაჭირვებას იტანენ. რა თქმა უნდა ესეც ისეთივე ლეგენდაა, როგორც საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მხიარული და მაძღარი ცხოვრება. უცხოეთის მუშის რეალური ხელფასი საშუალოდ ხუთჯერ სჭარბობს საბჭოთა კავშირის მუშის ხელფასს; აქ უმუშევარიც კი იმდენ დახმარებას იღებს, რომ უკეთ იკვებება და საზოგადოთ უკედ ცხოვრობს, ვინემ საბჭოთა კავშირში სამუშაოს მქონე. საბჭოთა კავშირის მოქალაქეს რომ შეეძლოს თავისუფლად უცხოეთში გამოსვლა, ყოველივე ამას თავისი თვალით ნახავდა და მაშინ რა გასავალი ექნებოდა ბოლშევიკურ ზღაპრებს?

მაძღარი და მხიარული ცხოვრება რომ კომუნისტური ტრაბახი და სიცრუე არ იყოს, მაშინ ჩინეთის კედლებიც არ იქნებოდა საჭირო. პირიქით, ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება ფართედ გაალებდა თავის ქვეყნის კარებს და ყველა მსურველს დიდის სიამოვნებით მიიპატიჟებდა, რომ თვითონ ენახა და თავისი თვალით დარწმუნებულიყო თუ რა მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირი.

მაგრამ მაგარი ის არის, რომ ჩინეთის კედლებიც კი ვერ შველის საქმეს და სიმართლე, თუმცა ნელა და დიდის დაბრკოლებით, მაგრამ მაინც თანდათანობით აშკარავდება უცხოელებისთვისაც. საბჭოთა კავშირის სიდუხჭირე აუტანელი ხდება თვით საბჭოთა კავშირის მეგობრებისთვისაც. როგორც მკითხველებმა იციან, ამ უკანასკნელად ანდრე ჟიდმა—ბოლშევიკების დიდმა მეგობარმა—საქვეყნოდ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში გამეფებული წესები და იქაური ცხოვრება სრულიად აუტანელი არის ყოველი კულტურულ ადამიანისთვისო. ბოლშევიკებმა ეს დიდი მეგობარი, გუშინ რომ აქებდენ და ადიდებდენ, დღეს სიმართლის თქმისთვის «სალონის» ბურჟუად გამოაცხადეს და იუდას სახელით მონათლეს. მაგრამ ჟიდი არც პირველია და არც უკანასკნელი. სულ ამ უკანასკნელად საბჭოთა კავშირიდან დაბრუნდა ჩრდილოეთ საფრანგეთის მემაღაროელთა დელეგაცია. თავის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავად იგულისხმება, რომ დელეგაცია შესდგებოდა მაღაროს მუშებიდან და არა «სალონის» ბურჟუებიდან; ისიც თავისთავად იგულისხმება, რომ დელეგაციის შემადგენლობა ფრთხილად იყო შერჩეული და შესდგებოდა ისეთ მუშებისგან, რომლებსაც სანატრელ იდეალად მიაჩნდათ საბჭოთა კავშირი. ამ დელეგაციის ერთმა წევრმა,—მაღაროს მუშამ,—და ბრუნების შემდეგ განიზრახა თავის ამხანაგებისთვის გაეზიარებია მიღებული შთაბეჭდილებები და გაეცნო საბჭოთა კავშირის მუშების მდგომარეობა. რამდენიმე კრება კიდეც მოაწყო, მაგრამ ბოლომდე არ დააცალეს: მას აუხირდნენ ურა კომუნისტები და არ დაანებეს განეგრძო კრებების მოწვევა. მას სიმართლის თქმა დანაშაულად ჩაუთვალეს და ცილისმწამებლად გამოაცხადეს. მუშა, რომელმაც სინდისი არ გაყიდა კომუნისტური ხელისუფლების პურ მარილზე, არ დაცხრა და გაზეთის ფურცლებზე განაცხადა, რომ მისი ნაამბობი სიმართლეა და არა ცილისწამება, რომ საბჭოთა კავშირის მუშის მდგომარეობა იმდენად უმწეოა, რომ მას არ მოითმენს არც ერთი ფრანგის მუშაო.

ქართულმა «კომუნისტმა» ანდრე ჟიდის საპასუხოთ დაბეჭდა ბ-ნ ვ. მგალობლიშვილის მოზრდილი ფელეტონი «იუდას ამბორი»-ს სათაურით. წარჩინებული კომუნისტი კეთილგონიერად უვლის გვერდს ანდრე ჟიდის მიერ ჩამოთვლილ ფაქტებს, არც ერთს არ აცნობს მკითხველს, არც ერთზე არ იძლევა პასუხს; მთელი წერილი მხოლოდ ბოლშევიკურ წრესგადასულ ლანძღვა-გინებას წარმოადგენს. ამ წერილში ბ-ნი მგალობლიშვილი «იუდა» ანდრე ჟიდის გასაწბილებლად იმოწმებს ცნობილ უცხოელ მწერალს—ლუი სელინს. ეს მწერალი უკიდურესი მემარცხნეა და დღემდე, მზგავსათ ანდრე ჟიდისა, საბჭოთა კავშირის დიდი მეგობარი და დამცველი იყო. მაგრამ დახეთ ბ-ნი მგალობლიშვილის მარცხს!.. ეს არის გამოვიდა ამ მწერლის წიგნი სახელწოდებით «ჩემი დანაშაული». როგორც ეგ სათაური მოწმობს, სელინი თავის თავს დანაშაულად უთვლის იმას, რომ იგი ქებით იხსენიებდა საბჭოთა ხელისუფლებას და იწონებდა საბჭოების რეჟიმსა და ყოფა-ცხოვრებას. მას დაბოლოს დაუნახავს ის საშინელი სიღატაკე, რომელიც ფლობს მთელს კავშირს. «ხალხს პერანგი არა აქვსო», აცხადებს იგი და დასძენს, რომ ამ მკაცრ სიღატაკეს ხრწნის და კიდევ უფრო მომწამვლელ სიმყრალედ ხდის მას გაფთრებული ეგოიზმი, ბოროტი, საზიზღარი, დაუძლეველიო. მთელი რუსეთი, პოლიციის, პროპაგანდის და ჯარის გამოკლებით, ცხოვრობს ნორმალური ბიუჯეტის ერთი მიათედითო, დაასკვნის ბოლშევიკების გუშინდელი მეგობარი.

ასე ახასიათებენ არა კონტრ-რევოლუციონერები, არამედ თავისი მემარცხნეობით კარგად ცნობილი და კომუნიზმისადმი კეთილგანწყობილი უცხოელები მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა «მამა» სტალინის მიერ მოწყობილ მხიარულ და მაძღარ ცხოვრებას.

ბ. არიძე.

უცხოეთის მიმოხილვა

ომი თუ ზავი?

სანამ ამ სტრიქონებს წაიკითხავდეს, მკითხველს უკვე ეცოდინება ბლუმის და ჰიტლერის სიტყვების შინაარსი; იდენისას ის გაეცნო სულ ორიოდე დღეა. ეს სამი სიტყვა, ასე ვთქვათ, სამი კვირის მოლაპარაკების შედეგს დაგვანახებს. მის შემდეგ რაც ლონდონმა გადასცა ბერლინს, რომს და მოსკოვს, პარიზთან წინასწარი შეთანხმებით, ახალი წინადადება «მოხალისეთა» გზავნის დაუყონებლივ შეწყვეტაზე ისპანიის ამა თუ იმ ბანაკის საშველათ.

ეხლა ყველასათვის ცხადია, თუ არა ეს «მოხალისენი», ისპანიის სამოქალაქო ომი მეშვიდე თვემდე ვერ მოატანდა. ჩვენ არ ვამბობთ იარაღით დახმარებაზე, რომელიც თავიდანვე მიაშველეს აქეთ-იქიდან, და, როცა ამან არ იკმარა, «მოხალისეთა» გზავნა დაიწყეს. ტყუილა ამტკიცებს ხალხოსნურ ფრონტის პრესა, ფრანკოს ბანაკში ნამდვილი ჯარის ნაწილები იგზავნებიანო, რადგან კაბალეროს ბანაკშიც ხომ ასეთივე ნაწილები მიდიან კრემლის სამფლობელოდან; რაც შეეხება ფრანგებს, ესენიც კომინტერნის ქვეშევრდომნი არიან. მაგრამ რაც უფრო საინტერესოა—ეს ცოცხალი ძალის მნიშვნელობა თანამედროვე ომში; მართალი არ გამოდგა, ვითომ ტექნიკა სწყვეტდეს ყველაფერს, მიუხედავად იმისა, რომ ისპანიაში, დიდი ხანია, ეგრედ წოდებულ პოზიციურ ომზე გადავიდენ. მაშ ფრანკოს გაცილებით ადრე უნდა მოეგო ომი, ვინაიდან ქვეყნის სამი მეოთხედი მას უჭირავს და ხალხიც გაცილებით მეტი ჰყავს, მავრების დამატებით აფრიკიდან. და თუ მაინც ვერ მოიგო, ეს უკვე ცხად ჰყოფს, რომ ხალხი, უკეთ—გლეხობა საერთოთ არ იჩენს დიდ ერთგულებას მისდამი!

და აქედან საქმე ისევ «მოხალისებზე» მიდგა. მათი რიცხვი ლამის 150 ათას აღწევს ორსავე ბანაკში. დღეს აქეთკენაა მეტი, ხვალ იქითკენ, იმის მიხედვით, თუ ვინ გადასხა სულ უკანასკნელათ ჯარი. ხმებიც მოდის, ისპანელნი დაიქანცნენო, მაშ უცხოელნი იბრძვიან უმთავრესად ისპანიის ტერიტორიაზედ! რისთვის, განა მარტო იდეისთვის? აი, რა იჭვი დაიბადა უკანასკნელათ, მოსულნი ისპანიის მიწა-წყლის, მის კოლონიების, მადნეულობის და სხვა სიმდიდრეთა მითვისებას ლამობენო. განსაკუთრებით ისპანიის მაროკოში დაიბადა ასეთი შიში და აქ ხომ გვერდით გიბრალტარია, ერთის მხრით, და საფრანგეთის მაროკო, მეორეს მხრით! ლონდონს იდეურ გატაცებაში ვერ დასდებთ ბრალს, მისი წინადადება ძალიან კონკრეტიულ საჭიროებიდან გამომდინარეობდა. პარიზიც მადლიერი იყო, რა თქმა უნდა, მისი ნაბიჯით. და უკვე ამართეს იალქნები ინგლისის და საფრანგეთის ესკადრებზედ, დალუქული ბრძანებაც უბეში ჰქონდათ ადმირალებს მთელი ისპანია-მაროკოს ალყის შემოსარტყმელად ზღვებიდან, რათა არ შეეშვათ იქ არც იარაღი, არც «მოხალისენი» გარედან...

მაგრამ ამ დროს მოხდა საახალწლო დარბაზობა,

ათ იანვარს, ბერლინში და მსოფლიომ თავისუფლად ამოისუნთქა! მხოლოდ ერთი ბეწოთი ვიდექით საყოველთაო ომის წინ. და მომავალი არქივისტები უთუოდ აცნობებენ კაცობრიობას, თუ კიდევ ვინმე გადარჩა, რა საკვირველებამ გადაგვარჩინა. საეჭვო კია, ყოველ შემთხვევაში, დარჩება თუ არა რამე კვალი ამაზე კრემლის არქივებში, რადგან იქ მარტო ზავზე, საზავო მისწრაფებაზე იქნება ლაპარაკი. ხოლო ომსა და საომარ ზრახვებს მხოლოდ გულში ატარებენ იქაური წარჩინებულნი, და ესენიც ხომ ჩქარა დალევენ სულს. ამდენი პროცესების შემდეგ, ჩეკის სარდაფებში! ფიურერმა უთხრა, დიპლომატიურ კორპუსის სახელით, ნუნციის მისალოცავ სიტყვის წამკითხველს, საფრანგეთის ელჩს პონსოს, რომ მას თვალი არ უჭირავს ისპანიაზე და მის კოლონიებზე და მხოლოდ ზავის განმტკიცებაზე ზრუნავს.

ამგვარად, ცა თითქო გაიწმინდა ღრუბლებისგან და ამის მაჩვენებელი იყო იდენის სიტყვა თემთა პალატაში: თუ გერმანია ზავისთვის ზრუნავს, ჩვენ მზათა ვართ ველაპარაკოთ მას, როგორც თანასწორმა თანასწორსო. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ბუნდოვანია, საჭიროა საზავო პირობების გამოლაგებაც. თითქო ამის გასაგებათ მოდიოდა შახტი პარიზში, მაგრამ უეცრად გადაიდო და პონსოს ოპტიმიზმი არ გამართლდა. და ეს ალბად იმიტომ, რომ ბლუმის ლიონში გამოსვლიდან ელიან ახალ სიტყვას. უნდა ითქვას, მთელი განათლებული მსოფლიო გაფაციცებით უგდებს მას ყურს, უკვე მახვილობენ აქა-იქ, საფრანგეთსაც ჰყავს თავისი დიზრაელიო!

ფიურერის სიტყვა კი, ნაზის ხელისუფლების ოთხი წლის თავზე, სწორედ იდენის და ბლუმის სიტყვების პასუხი იქნება. თუ გავიხსენებთ მის წინანდელ სიტყვებს, განსაკუთრებით 7 მარტისას, 30 იანვრის გამოსვლას უთუოდ უაღრესი მნიშვნელობა ექნება. ვინ იცის, იქნება გამართლდეს ზოგ პუბლიცისტის დიაგნოზი: ისპანურ დინამიტს მოჩვენებითი სახე ჰქონდა, თორემ ნამდვილი განზრახვა რამე შემათანხმებელ პირობების გამონახვაში იყოვო. პარიზში მართლა გაუხშირეს წერას სხვადასხვა დათმობებზე: ნედლი მასალის, სესხის, კოლონიების თაობაზე. შახტი ისევ მოდისო—გაიძახიან მეგაზეთენი ქუჩებში.

მართლაც, განა ერთხელ გვითქვამს, რომ ზავის საძირკველი ჯერ ბერლინსა და პარიზში უნდა ჩაიყაროს, თუ ძლიერთა ამ ქვეყნისა სურთ მშვიდობიანობის უზრუნველყოფა. ვნახოთ, თუ ისინი გადალახვენ რუბიკონს, წარსულის მაგალითები არ არის მაინცადამაინც გამამხნევებელი.

ძაღლის ბედი.

ორი დღეც არ გასულა, რაც ტოკიოდან გაისმა სტიქიურ ძალთა დაძვრის ხმა. ჯერ კიდევ არ შეიძლება ითქვას, რომ დაძვრას კატასტროფა მოჰყვება. ევროპიული ზნე-ჩვეულების მიხედვით, თითქო არაფერიც მომხდარა! მართლაც, აქაურ პარლამენტებში პარტიათა მთავრობასთან შებრძოლებას, მწარე სიტყვებს, თვით დეპუტატების ხელჩართულ შეტაკებასაც ხომ შეჩვეული ვართ და გაზეთების ცნობებიც ამის შესახებ მეორე დღესვე გვავიწყდება. სულ სხვაა შორეულ აღმოსავლეთში, სწორეთ იქ, სადაც მზე ამოდის, შელაპარაკებას, სიტყვით შეტევას ნამდვილი სახელმწიფო გადატრიალების სახე ეძლევა ხშირად. და მხედრობაც ხომ შიგ პოლიტიკაშია იქ ჩაფლული, მანჯუკუო მისი პირმშოა, ჩრდილოეთი ჩინეთიც პეკინით მის ხელმძღვანელობით ეყოფა ნანკინის მთავრობას და სხ. შარშან სწორეთ ამ დროს რაღმე მხედრობამ არ აიღო ტოკიოში ხელისუფლება. და ეს უთუოდ მოხდებოდა, მიკადო რომ მას მიკედლებოდა, რადგან მთელი შეიარაღებული ძალა მხოლოდ მას ემორჩილება უშუალოთ.

ეხლაც თითქო მისგანაა დამოკიდებული, გადავა თუ არა ბრძოლა პარლამენტიდან ქუჩაში, განსაკუთრებით ყანებში, სადაც ბოგანო გლეხობა სჭარბობს. ორმა მთავარმა პარტიამ არც კი დააცადა ლაპარაკი მინისტრებს, უფშტვინა მათ, გააქცია! მაგრამ მინისტრები მხოლოდ მიკადოს დანიშნული არიან, მას შეუძლია მათი გადაყენება, რასა იქს ის? ორიდან ერთი: ან პარლამენტი უნდა დაითხოვოს, ან ჰიროტას მთავრობა. სამხედრო და საზღვაო მინისტრები მარტო დათხოვას არ სჯერდებიან, როგორც ეტყობა, მათ სურთ სრულიად მიკეტონ პარლამენტი და მთავრობიდანაც ცივილები განდევნონ. კონფლიქტის მიზეზი სამხედრო ბიუჯეტის გაბერვაა, საერთოთ კრიზისი, წვრილ და მუშა ხალხის გაჭივრება. პარტიები მოითხოვენ ხარჯების შემოკლებას, ადმინისტრატიულ რეფორმებს, და მესამე მუშური პარტიაც—აგრარულ და სოციალურ რეფორმებს.

მაგრამ ზავის საკითხიცა სდგას, რასაკვირველია. პარლამენტი, მისი მეთაურნი განა როდი ებრძვიან ექსპანსიას. პირიქით, მხოლოდ ზომიერებას, სიფრთხილეს მოითხოვენ. განსაკუთრებით აუღელვებია ისინი გერმანია იაპონიის ანტიკომინტერნის პაქტს, პირდაპირ მიახალეს საგარეო მინისტრს არიტას, შენთვის არც კი უკითხავთ, სამხედრო უწყებამ შეკრა იგიო. მათ აშინებთ, რომ ასეთი ჯუგური პოლიტიკა გადაამტერებს იაპონიას სხვა დიდ სახელმწიფოებს, პირველ რიგზე, ინგლისა და ამერიკას...

და ამიტომ ვსთქვი სწორედ, რომ მოსკოვს ძაღლის ბედი აქვს მეთქი! თუ იაპონიაში რევოლუცია დატრიალდა, ანტიკომინტერნი კომინტერნის წისქვილს აამუშავებს, ვინ იცის, რა მოხდება ჩინეთშიც და მოსკოვს მართლა გაეხსნება ახალი, განუზომელი ასპარეზი...

მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, ყველა ეს მოზმანებაა, იაპონიამ წარსულში დაამტკიცა და ეხლაც დაამტკიცებს, რომ როცა სამშობლო განსაცდელშია, მისი ხალხი ერთია, მონოლიტური. და მოსკოვის პირველი ნაბიჯი ხანძარის დასანთებათ უთუოდ პირველი და გადამჭრელი მიზეზი იქნება ამ მთლიანობის აღსადგენად. და განა გვავიწყდება სხვა დიდი ქვეყნები, დასავლეთიდან რომ უთვალთვალებენ?!

ნამდვილი დემოკრატია

(ქენევის არჩევნების გამო)

ამ არჩევნებმა ყველა ქვეყნის ყურადღება მიიპყრო. შეუდარებელი გამოძახილი გამოიწვია მთელ მსოფლიო პრესაში. ჩვენთვის განსაკუთრებული ინტერესებიც აქვს. მაგრამ საჭიროა ჯერ შევნიშნოთ, რომ საყოველთაო, პირდაპირი, პროპორციონალური და საიდუმლო არჩევნები—პოლიტიკურ-საზოგადოებრივ საკითხების ხმის უმრავლესობით გადაჭრა, რომელიც დემოკრატიზმის საუკეთესო იურიდულ გამოხატულებად ითვლება, თავისთავად არ იძლევა სრულ გარანტიას, რადგან კარგი კონსტიტუციის დადგენა კიდევ არ ნიშნავს კარგი მართვა გამგეობის დამყარებას. დემოკრატია არის ფორმალური და ნამდვილი. ორივეს გარეგნული ნიშნობლივი თვისებები ერთი და იგივეა, ხოლო შინაარსი სრულიად სხვადასხვა. პირველის ქვეყნების რიცხვი ბევრია, სადაც მშვენიერი კანონებია, მაგრამ მათი გვერდის ახვევა, სულ წინაამდეგის გატარება ბუნებრივადაა მიჩნეული და ასე ხალხი მოტყუებულია, გაყვლეფილია, სადაც უნდათ, იქით მიყავთ, რაც უნდათ იმას აკეთებიებენ. ეს განვითარდა განსაკუთრებით დიდი ომის შემდეგ შექმნილ საერთო უნდობლობის, დემორალიზაციის და გაუტანლობის ატმოსფეროში. შემთხვევითი მოვლენა როდია, რომ, ნამდვილი დემოკრატიის მუდმივი უკიდურესი მტერია, ბოლშევიზმი ასე გაყალბებულ დემოკრატიას უმეგობრდება, მის დამცველად გამოდის. არც ისაა შემთხვევითი მოვლენა, რომ ხალხს ბევრ ქვეყნებში ის ისე მოსძულდა, რომ მან მატყუარა უფლებების ქონას სრულიად არ ქონება ამჯობინა და ერთიანად რეაქციას მიენდო, მას მიყობა და ზურგს უმაგრებს ისე, რომ აქაც იმავე უფლებით ხალხის ნებისყოფაზე ლაპარაკობენ...

სადაც ხალხის უფლება მართლაც სავსებით ტარდება, იქ ერთი მეორის, სრული ნდობა, რიდი, პატივისცემა და ლოიალობა სუფევს, კანონის დარღვევა შეუძლებელია, სიტყვა და საქმე ერთი და იგივეა. იქ დამარცხებაც ისე ბუნებრივადაა მიღებული, როგორც გამარჯვება. გამარჯვებული არ სდევნის დამარცხებულს. პირიქით მას კიდევ მეტი თავაზიანობით ეპყრობა. ესეც მის ავტორიტეტს ლოიალურად ცნობილობს მით უმეტეს, რომ ისიც ასე მოიქცევა, როცა მომავალ არჩევნებში გაიმარჯვებს და ძალაუფლებას ხელთ აიღებს. ესაა ნამდვილი დემოკრატია. მაგრამ ასეთი ქვეყნების რიცხვი ცოტაა. ამით აიხსნება უმთავრესად ის დიდი გამოძახილი, რომელიც ქენევის პაწია რესპუბლიკის არჩევნებმა ჰპოვა მთელ მსოფლიოში. მართლაც ჯერ თვით შვეიცარიის ფედერაციაც პატარაა და ეს მის 25 კანტონებში ყველაზე უმცირესთაგანია: მისი სივრცე მხოლოდ 282,42 კილომეტრია და მცხოვრებთა რიცხვი 175,279 სულს უდრის, რომელთაგან 35,194 უცხოელია.

ქენევის კანტონალურ პარლამენტში არჩევნები პროპორციონალურ საარჩევნო სისტემით ხდება ყოველ სამ წელში. მთავრობის წევრებს ხალხი ირჩევს პირდაპირ, ხმის უმრავლესობით, სამი კვირის შემდეგ პარლამენტის შემადგენლობის განახლებისა. პარლამენტი ასი კაცისაგან შესდგება, მთავრობა—შვიდისაგან. 1933 წელს სოციალისტური პარტია მარტოდ გამოვიდა საარჩევნო კამპანიაში, 17.344 ხმა მიიღო და გაიყვანა 45 დეპუტატი (წინანდელთან შედარებით ათი მოიმატა). ყველა ოთხ ბურჟუაზიულ პარტიებმა დანარჩენი 55 ადგილი დაიჭირეს. კომუნისტურ პარტიის კანდიდატმა ძლივს 221 ხმა მიიღო. სოციალისტურ პარტიის გამარჯვება განსაკუთრებით ბრწყინვალე მთავრობის არჩევნებში გამოდგა, სადაც ოთხივე თავისი კანდიდატი გაატარა 19.306 ხმით, გახდა ცნობილ ნიკოლის მეთაურობით მთავრობის უმრავლესობად და ასე მის ხელმძღვანელად. ასეთი დიდი გამარჯვების მიზეზი ის იყო, რომ ბურჟუაზიულ პარტიებს შორის შეთანხმება ვერ მოხდა და ცალცალკე ისინი სოციალისტებზე ბევრად სუსტნი არიან. წელს კი ქენევის სოციალისტურმა პარტიამ, წინაამდეგ შვეიც. სოც. პარტიის და პროფესიონალურ კავშირის დადგენილებისა, კანდიდატების საერთო სია წარმოადგინა კომუნის. პარტიასთან ერთად. ამან შემდეგი ნაყოფი გამოიღო: ერთი მხრით შექნა სრული თანხმობა ბურჟუაზიულ პარტიებს შორის, გადააქცია ისინი ერთ ბლოკად, რომელიც გაიძახოდა: «ესენი მოსკოვის მთავრობის ლაქიები არიან, უცხოელთა წარმომადგენლებს ჩვენს მთავრობაში რა უნდათ. ჰკარით მაგათო!»; მეორე მხრით, ჩამოაცილა ბევრი მიმდევარი. პარლამენტში არჩევნების დროს წინანდელ 17.344 მაგიერ 16.189 ხმა მიიღო (კომუნისტებიანა) და, თუ ორ კომუნისტს არ ჩავთვლ ით, დაეცა 45-დან 38 დეპუტატზე, დაკარგა 7 ადგილი. ბურჟუაზიულ ნაბლოკმა კი 60 დეპუტატი გაიყვანა. ხოლო ჭეშმარიტი კატასტროფა სოციალისტურ პარტიისთვის მთავრობის არჩევნები შეიქნა: ეროვნულ პარტიების ბლოკმა ყველა 7 კანდიდატი გაიყვანა 25.000 ხმით სოციალისტურ-კომუნისტურ პარტიების 16.000 წინაამდეგ (მოვიგონოთ, რომ 1933 წ. მარტო სოციალ. პარტიას ჰქონდა 19 300 ხმა). ამნაირად, მთავრობაში ერთი სოციალისტიც ვერ მოხვდა.

ნამდვილ დემოკრატიის სიდიადე იმაში გამოიხატება, რომ აქ არავინ არ მსჯელობს: ის კარგია და მისაღები ჩემთვის, თუ გავიმარჯვე; ის ცუდია და უნდა უკუვაგდო, თუ სხვამ გაიმარჯვაო. ქენევაში, ისე როგორც სამი წლის წინედ რადიკალურ, კონსერვატორულ, დემოკრატიულ და ნაციონალისტურ პარტიებმა მიიღეს თავიანთი დამარცხება ხალხის ნებისყოფად და ლოიალურად იცნეს სოციალისტების ავტორიტეტი, აგრეთვე დღეს სოციალისტებმა მიუხედავად დიდი ბოლშევიკური სიმპატიებისა, ამ არჩევნების შედეგი ხალხის სუვერენულ გადამწყვეტ ხმად მიიღეს და ყოველივე ინცინდენტების გარეშე მოწინაამდეგეებს სამმართველოში გზა დაუცალეს. ასეთია ტრადიციების ძალა.

ხ. მ—ლი.

ქართული ხელოვნების დეკადა

ბოლშევიკური საქმიანობა თავიდანვე იყო აღსავსე განსაცვიფრებელი წინააღმდეგობებით; ამ წინააღმდეგობათა ქსელშია გახვეული იგი დღესაც. ეს მოვლენა არ არის ძნელი ასახსნელი. ბოლშევიკური ხელისუფლება უმაგალითო აზიური დესპოტიზმია; იგი ციინიკური შეუბრალებლობით აღრჩობს და ახშობს ცოცხალ სულს, თავისუფალ აზრსა და სიტყვას; იგი იპყრობს და მონობის უღელს დგამს თავისუფლების მოტრფიალე ერებს, სისხლის ტბებს აყენებს და მასში აღრჩობს თავისუფლების მოპოვებისაკენ მიმართულ ყოველგვარ მისწრაფებას.

და ეგ ხელისუფლება აგეთივე ციინიკური უსირცხვილობით ცდილობს მთელი ქვეყანა დაარწმუნოს, რომ მასზე უფრო დემოკრატიული, მასზე უფრო ლმობიერი და თავისუფლების მოყვარული ხელისუფლება მთელს მსოფლიოში არ მოიპოვება. მან კარგად იცის თავისი ბნელი და ბოროტი საქმიანობა, მაგრამ მაინც ცდილობს იგი სხვებს მოაჩვენოს უაღრესად ნათელ და კეთილ საქმედ. მან ისიც იცის, რომ ამ მიზნის მისაღწევად არ კმარა ცარიელი სიტყვები, მარტო ბოლშევიკური ტრაბახი,— იშვიათად მაინც ამ თავბრუმხვეველ სიტყვებს და წრეს გადასულ ტრაბახს ზოგი საქმეც უნდა ახდეს. მაგრამ ეგ საქმე ყოველთვის ისეა შერჩეული, რომ სარეკლამო მნიშვნელობა დიდი ქონდეს და მდგომარეობას კი არსებითად ოდნავადაც არ ცვლიდეს. ცხადია, რომ ასეთ ცდების ნიადაგზე წინააღმდეგობათა ქსელი დაიხლართება.

თექვსმეტი წელიწადი სრულდება, რაც მოსკოვმა საქართველო ცეცხლითა და მახვილით დაიპყრო, თავისუფლების მოტრფიალე ერს მონობის უღელი დაადგა, ხალხს სუვერენობა აართვა, მის საუკეთესო შვილებს ფიზიკური არსებობა მოუსპო, მთელი ქვეყანა გაძარცვა და გააღატაკა, ადამიანი და ადამიანური ღირსება არარად აქცია. ყველა ამის შემდეგ იგი მაინც ირწმუნება, რომ საქართველო ააყვავა და გააბედნიერა. მაგრამ მან იცის რომ ცარიელ რწმუნებას ფასი არა აქვს, თუ მას საბუთიც არ ახლავს; და იგი დაეძებს საბუთებს. ერთ ასეთ საბუთად იგი იყენებს ქართულ ხელოვნებას და მოსკოვში აწყობს ქართული ხელოვნების დეკადას. ქართულმა სახალხო სიმღერებმა, ქართულმა ოპერამ, ქართულმა მსახიობებმა, მომღერლებმა, მოცეკვავეებმა მოხიბლეს დამსწრე საზოგადოება; მთელი ათი დღის განმავლობაში მოსკოვის გაზეთები წერენ ქართულ მუსიკაზე, მის ღვთაებრივ სიმშვენიერეზე და წარმტაცობაზე; აღფრთოვანებული არიან ქართული ცეკვა-თამაშით.

ბოლშევიკები რეკლამის უებარი ოსტატები არიან და რაკი განიზრახეს ქართული ხელოვნების სარეკლამოდ გამოყენება, მასზე ხარჯის გაწევასაც არ დაიშურებდენ. უეჭველია დიდ ხარჯს მოითხოვდა სამი ოპერის სამაგალითოდ დადგმა, შესაფერი ორკესტრის და ბალეტის მოწყობა, გუხდების მომზადება, ეროვნულ ცეკვის ვირტუოზების გაწვრთნა და სხვა. ქართველ ხალხს ყავს ნიჭიერი კომპოზიტორები, ნიჭიერი მსახიობები, ლოტბარები; ამ უკანასკნელთა განკარგულებაშია ქართველ ხალხის გენიის მიერ საუკუნოების მანძილზე შექმნილი ხალხური სიმღერები, სმენისა და სულის დამტკბობი მელოდიები. ერთი სიტყვით ყველა სახის მასალა უხვი და მდიდარია. ამ მასალის დასამუშავებლად ბოლშევიკებმა დახარჯეს ნაძარცვის ერთი ნაწილი. ნიჭიერი ერის ნიჭიერმა შვილებმა, რაკი ამის საშვალება მიეცათ, შესძლეს თავისი ნიჭის გამოჩენა და ეროვნულ ხელოვნების სათანადო სახით წარმოდგენა.

საზოგადოთ კომუნისტურ პრესას არაფერი დაეჯერება: იგი მოწოდებულია აქოს და აღმერთოს კომუნისტური დესპოტია და მოიწონოს ყოველივე, რასაც კრემლის დიქტატორები მოიმოქმედებენ. იგი საზოგადოებრივ აზრს არ გამოხატავს, არ არის ცხოვრების სარკე, მისი ავისა და კარგის მიუდგომელი გამრკვევი. იგია ხელისუფლების მესაქეთა იარაღი და ემსახურება მათ მიერ დასახულ მიზნებს. მიუხედავათ ამისა, ამ კერძო შემთხვევაში ჩვენ არ მიგვაჩნია არც დაუჯერებლად და არც გადაჭარბებულად ამ პრესის მიერ აღწერა იმ დიდი შთაბეჭდილებისა, რომელიც ქართულ ხელოვნების დეკადას მოუხდენია მოსკოვში. «პრავდა»ს ფურცლებზე ჩვენ ვკითხულობთ რუსულ ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა აზრს ქართულ მუსიკალურ და პლასტიურ ხელოვნებაზე. მოსკოვის ცნობილ სამხატვრო თეატრის ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელთაგანი ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო სხვათა შორის სწერს:

«ძნელია ზედმეტად დააფასო ისეთი წარმოდგენების მნიშვნელობა, რომელიც ჩვენ ეს არის გვაჩვენა მოსკოვში ოპერისა და ბალეტის ტფილისის სახელმწიფო თეატრმა. ასეთი წარმოდგენები იძლევიან არა მარტო დიდ ესტეტიურ სიამოვნებას; ისინი ამავე დროს წარმოადგენენ სერიოზულ მუჯლუგუნს მუსიკალური ხელოვნების გასაღრმავებლათ, საზოგადოთ მთელი ჩვენი საბჭოურ ხელოვნების გასაღრმავებლად.

«განა ბევრმა იცოდა ჩვენში, რომ საქართველოში იყო ოპერისა და ბალეტის ასეთი თეატრი და რომ მასში ასე ბრწყინვალედ ისახებოდენ ხალხური სიმღერები და ხალხური ცეკვა? მე პირველად მეგონა, რომ მიკერძოებას ვიჩენდი, რომ გატაცებას ვეძლეოდი. რომ, როგორც კავკასიაში დაბადებული და ტფილისის მოწაფე, ვეძლეოდი სამუდამოდ წაუშლელად დარჩენილ ბავშვობისა და ჭაბუკობის ძლიერ ემოციებს. მაგრამ არა. საქართველოს მელოდიების პლასტიურობა, ხმების დაყენება საქართველოში, საქართველოს კოსტიუმები, ქართველი ხალხის პლასტიურობა (ამასთანავე მამაკაცები არ ჩამოუარდებიან ქალებს)—ყველა ეს, როგორც ვხედავ, იპყრობს ჩვენს მსმენელს».

დიდ აღფრთოვანებას გამოსთქვამს აგრეთვე ცნობილი მსახიობი ლ. ლეონიდოვი:

«ოპერა «დაისზე» მე განვიცადე უმაღლეს მხატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრულ სიტკბოების წუთები. პირველად ყოვლისა წარმოდგენა რეალისტურია. მსახიობების თამაში სინამდვილის გამომხატველი, არა მყვირალა, უბრალო და მიტომ გაღელვებს.

«თვითეულ ამსრულებელს გამოკაფულად მიყავს თავისი ხაზი. რამდენი კეთილშობილური ღირსებაა მამაკაცებში, რამდენი სინაზე, ყნოსვა, გრაციულობაა ქალებში, რამდენი მხატვრული სიმართლეა ჩაქსოვილი მთელ წარმოდგენაში. სოლისტები, გუნდი, ბალეტი—ყველა ეს ერთი მთელია.

ახლა როგორია ხმები! ისინი მართლა ატკბობენ სმენას. საზოგადოთ მთელ წარმოდგენაში სჩანს დიდი კულტურა, რომელიც სისწორით გამოხატავს დიდი ქართველი ხალხის ჭეშმარიტ ხალხურ შემოქმედებას.

მაგრამ რამაც მე მომიყვანა აუწერელ აღტაცებაში,—ესაა ცეკვა, რომელიც სრულიად არაჩვეულებრივია თავისი სირთულით, რითმით და სიმსუბუქით. ცეკვავენ არა მარტო ფეხები სული ცეკვავს. მთელი არსება ცოცხლობს.»

ცნობილი მსახიობი ქალი ა. ნეჟდანოვა ასე აგვიწერს თავის შთაბეჭდილებას:

«მე დიდი ხანია არ განმიცდია ისეთი დიდი სიამოვნება, როგორიც მივიღე ტფილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მიერ დადგმულ წარმოდგენიდან—«დაისი», თავისთავად იგულისხმება, რომ წარმოდგენის მაღალი მხატვრული ღირსება უწინარეს ყოვლისა შეადგენს უდიდეს ქართველ კომპოზიტორ ზ. ფალიაშვილის დამსახურებას. რომლის ლამაზი, კეთილ ხმოვანი მუსიკა სტოვებს მომხიბლავ შთაბეჭდილებას.

ყოველგვარ ქების ღირსია თეატრის მთელი კოლექტივი. ამსრულებელთაგან მე დამამახსოვრდენ ბევრნი, განსაკუთრებით ღირსაღსანიშნავია ბარიტონი პ. ამირანაშვილი, რომელმაც დიდის წარმატებით შეასრულა კიაზოს პარტია.

მშვენიერად მღეროდა აგრეთვე საქართველოს დამსახურებული მსახიობი ქალი ე. სოხაძე, რომელიც მაროს როლს ასრულებდა. დიდი ცოდნა და ტალანტი გამოიჩინეს საქართველოს დამსახურებულმა მსახიობმა ნ. კუმსიაშვილმა (მალხაზი) და ვ. ხამაშურიძემ (მოხუცი გლეხი ცანგალა).»

ჩამოთვლილთა გარდა კიდევ მრავალმა ცნობილმა მსახიობებმა, მწერლებმა და კრიტიკოსებმა გაუზიარეს მკითხველებს თავიანთი შთაბეჭდილებები და ყველანი ერთხმად ადასტურებენ, რომ ქართულმა მუსიკამ და ქართულმა პლასტიურმა ხელოვნებამ წაუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ყველა მაყურებელზე. მუსიკალურმა კრიტიკოსებმა ვრცელი წერილები და მთელი ფელეტონები უძღვნეს ოპერებს: «დაისი», «დარეჯან ცბიერი» და «აბესალომ და ეთერი». დიდის ქებით იხსენიებენ აგრეთვე კავსაძისა და პაჭკორიას მომღერალთა გუნდებს.

ეჭვს გარეშეა, რომ ქართულმა ხელოვნებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოსკოვზე, მაგრამ გასაცვიფრებელია ერთი რამ. ბოლშევიკები თავის დამსახურებად თვლიან იმას, რომ ქართული მუსიკა უზომოდ მდიდარია თავისი ღვთაებრივი ჰანგებით, რომ ქართული ხალხური სიმღერები თავისი სიმდიდრით და სილამაზით არც ერთი უაღრესად კულტურულ ერის ხალხურ სიმღერებს არ ჩამოუვარდებიან.

ის ოპერები, რომლებიც მოსკოვს აჩვენეს იანვრის დეკადის განმავლობაში, დაწერილია არა ბოლშევიკურ ბატონობის ხანაში; ქართულ ხალხურ სიმღერების და ქართული ცეკვა-თამაშის ისტორიაც მრავალ საუკუნოებს ითვლის. ბოლშევიკებმა სარეკლამო მიზნით გამოიყენეს მრავალ საუკუნოების განმავლობაში დაგროვილი მხატვრული საუნჯე ქართველი ერისა, ხოლო ქართველი ერი კი ამავე დროს ჯვარზე ყავთ ცმული. ბოლშევიკების ბატონობის ხანაში არ დაწერილა არც ერთი ღირს შესანიშნავი ოპერა; ეს არც არის გასაკვირი; მხოლოდ თავისუფალი ხალხის გენიას შეუძლია დიდი ხელოვნური ნაწარმოების მოცემა. საბჭოთა კავშირში კი, როგორც ამას ადასტურებს იქედან ახლად დაბრუნებული ფრანგი ჟურნალისტი დორჟოლესი, არის 170 მილიონი მონის ქვეყანა და არა თავისუფალ მოქალაქეთა სახელმწიფო.

მაშ რით იქებენ თავს ბოლშევიკები, რაშია მათი დამსახურება? იქნებ იმაში, რომ ქართული ოპერები, ქართული ხალხური სიმღერები და ქართული ცეკვა-თამაში მოსკოვს უჩვენეს? მაგრამ ბოლშევიკები ვერც ამ საქმის პიონერობას დაიჩემებენ. ბოლშევიკების ხსენებაც კი არ იყო მაშინ, როდესაც ცნობილმა რუსმა კომპოზიტორმა და მუსიკალურმა კრიტიკოსმა კორომშჩენკომ მოაწყო მოსკოვში ქართულ სიმღერების საღამოები; ამ საღამოებმა ათასობით მსმენელები მიიზიდა და უდიდესი შთაბეჭდილებაც მოახდინა. ი. კარგარეთელის მოწმობით «მეცნიერებისა და ხელოვნების მოსკოვის საუკეთესო წარმომადგენლები წერილობით უცხადებდენ თავის კმაყოფილებას და აღფრთოვანებას ამ საღამოების მომწყობთ. ყველა მიმართულების ბეჭდვითი ორგანოები აქებდენ და ადიდებდენ ქართული მელოდიის სიმდიდრესა და სილამაზეს; ქართული საგუნდო სიმღერების სიმდიდრე, დიდი შინაარსიანობა და სიახლე ჰარმონიის—ყოველივე ეს აღნიშნული იყო და ამ ნაირად ყოველივე შესრულებული წარმოადგენდა ახალს არა მარტო რუსულ საზოგადოებისთვის, არამედ იგი წარმოადგენდა ახალს მეცნიერული თვალთაზრისითაც».

ქართულ სიმღერებს იცნობდენ და ამ სიმღერებით სარგებლობდენ გამოჩენილი რუსული კომპოზიტორები—რუბინშტეინი, ჩაიკოვსკი და სხვები, რომელთა უდიდეს ნაწარმოებებში უხვათ არის გაპნეული ქართული მუსიკალური გენიის საუკეთესო მარგალიტები და სწორედ ეს მარგალიტები შეადგენენ ამ ნაწარმოებთა უმშვენიერეს ადგილებს.

ქართული ხელოვნების დეკადების მოწყობით ბოლშევიკები ოდნავადაც ვერ გამოიყიდიან იმ უმძიმეს დანაშაულს, რომელიც იმათმა ჩაიდინეს ქართველი ერისა და ქართველი ხალხის წინაშე. ქართველ ხალხს უნდა თავისუფლება, ეროვნული სუვერენობა. ეროვნული თავისუფლება არის ქვაკუთხე-

დი, უპირველესი საფუძველი ხალხის კულტურულ ზრდა-განვითარებისათვის. როდესაც ქართველი ხალხი ამ თავისუფლებას მოიპოვებს,—და იგი მას აუცილებლად მოიპოვებს,—მაშინ გაეშლება ქართულ ხელოვნებასაც ფართე ასპარეზი. მონურ დაბეჩავების ხანაში არც ერთ ხალხს არ გაუშლია ეროვნულ შემოქმედების ფრთა და ვერც გაშლის.

ინი.

მოსკოვის პროცესი

თექვსმეტის პროცეს ჩვიდმეტის პროცესი მოყვა; თექვსმეტის დახვრეტას ალბათ ჩვიდმეტის დახვრეტა მოყვება.

ჩვენ არ გვგონია, რომ ეგ პროცესი უკანასკნელი იყოს; პირიქით ყველა ნიშნებია იმის, რომ ასეთ პროცესებს არც მომავალში მოგვაკლებენ და ერთ მათგანს ალბად ჩვენი ქვეყნის დედაქალაქშიც ექნება ადგილი.

ახლანდელი პროცესის ყოველმხრივი დაფასება ჯერ ნაადრევია. ჩვენ ორიოდე სიტყვით შევჩერდებით მხოლოდ იმ გათახსირებაზე და დაცემაზე, რომელიც ამ ბოლშევიკურ პროცესებს ახასიათებს.

გამარჯვებული ბოლშევიკები ასამართლებენ დამარცხებულ ბოლშევიკებს. ლენინის სიკვდილის შემდეგ მონოლიტურ კომუნისტურ პარტიაში მრავალი სახის ოპოზიციები წარმოიშვენ; უმეტეს შემთხვევაში ოპოზიციონერობის ნამდვილ მიზეზს შეადგენდა უთაოდ დარჩენილ ლიდერების ამბიციები. თითეული მათგანი ლენინის შემდეგ პირველობას იჩემებდა. ამ პირველობისთვის გამართულ ბრძოლაში სტალინმა გაიმარჯვა; ეგ უკანასკნელია დღეს 170 მილიონიან თვალუწვდენელ საბჭოთა კავშირის სრული ბატონი და მრისხანე მბრძანებელი. მაგრამ გამარჯვებულ სტალინს მოსვენება დაეკარგა. იგი შიშმა შეიპყრო,—ვაი თუ დღეს დამარცხებულმა მეტოქეებმა ხვალ ისევ წამოყონ თავი და გულში ან ზურგში მახვილი ჩამცენო. ამ შესაძლებელ უბედურების თავიდან ასაცილებლად საჭირო გახდა გუშინდელ ამხანაგების და თანამებრძოლ მეგობრების პასუხისგებაში მიცემა და მათი ფიზიკურად მოსპობა.

ბოლშევიკებისათვის ჩვეულებრივი ამბავია ბრალდებების შეთხზვა, მაგრამ დაუჯერებელი არ ის არის, რომ სტალინის უზომოდ განდიდებით შეურაცხყოფილ გუშინდელ მის მეგობრებს დაბადებოდათ სტალინის თავიდან მოშორების სურვილი და განზრახვა. ისიც კია შესაძლებელი. რომ ზოგიერთ მათგანს ხულწრფელად არ მოწონდეს მისი გუშინდელი ნასაქმი, მიმხვდარიყვეს თავის შეცდომებს და მდგომარეობის ხსნად მიიჩდეს ქვეყნის მართვა-გამგეობის ახალ რელსებზე შემობრუნება. ყოველივე ეს შესაძლებელი და ბუნებრივია; მაგრამ სრულიად არაბუნებრივია ის გათახსირება, დაგლახება და დაცემა რომელიც გამოიჩინეს პირველი პროცესის ბრალდებულებმა და დღეს იჩენენ მეორე პროცესის ბრალდებულები. პოლიტიკურ პროცესებში უმეტეს შემთხვევაში საზოგადოებრივი აზრი ბრალდებულების მხარეზეა, მაგრამ მოსკოვის პროცესის ბრალდებულებს მხოლოდ ზიზღი შეუძლიათ დაიმსახურონ და არა სიმპატიები. ბრალდებულები თვითონ იმათრახებენ თავის თავს, თვითონვე გამოდიან თავისი თავის ბრალმდებლად, აბეზღებენ მეგობრებს, გამცემლობას ჩადიან; არც ერთ მათგანს იდეურობის არა სცხია.

საქართველოშიაც იყო დიდი პროცესები, მათ შორის 1924 წლის აჯანყების მეთაურ დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრების გასამართლება. ამ პროცესებზე ამაყად იდგენ ბრალდებულები და გაბედულად უტევდენ ბრალმდებულებს. მათი მეთაური იყო იდეა, ერისა და ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლა; პროცესის დროს ისინი ფიქრობდენ არა თავის ტყავზე, არამედ აჯანყების გამართლებაზე. ისინი გაასამართლეს, კატორღაში გაგზავნეს. მაგრამ მორალური გამარჯვება მათ დარჩათ, მთელი ერის სიმპატიები მათ გაყვა.

ბოლშევიკურ პარტიის გუშინდელი ცნობილი ლიდერები კი დაგლახდენ და გაიხრწნენ. ეს იმის უტყუარი ნიშანია რომ გაიხრწნა მთელი ბოლშევიკური პარტია. დღეს სტალინი დახვრეტს ჩვიდმეტს, ხვალ და ზეგ კიდევ ვინ იცის რამდენს, მაგრამ ამით სტალინი თავს ვერ იხსნის, დაბოლოს მისი რიგიც მოვა.

სხვის წინააღმდეგ ხმლის ამღები ხმლითვე დაეცემა. ეგ გარდაუვალი კანონია.

გერლინი და მოსკოვი

გერმანიის ჟურნალ-გაზეთების მთავარი ზარბაზნები დიდი ხანია მოსკოვისკენ არიან გაშვერილი. ისინი კვალდაკვალ ააშკარავებენ საბჭოთა კავშირის ცხოვრების ყოველივე მხარის სიდუხჭირეს და მისი პოლიტიკის საშიშროებას დანარჩენი ქვეყნებისთვის. ჩვენ აქ შევჩერდებით ჩვენი მკითხველისთვის არა უცნობ მეცნიერულ-პოლიტიკურ ჟურნალ «ცაიტშრიფტ ფიურ გეოპოლიტიკ»-ზე, რომლის შეფრედაქტორი გერმანიის სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი კარლ ჰაუსჰოფერია. ეს გერმანიის საზღვრებს გარედაც დიდათ გავრცელებული ორგანო, თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა კავშირის ეროვნებათა კითხვას. ამ გაზეთში საქართველოზე, აზერბაიჯანზე და საერთოდ კავკასიაზე რამოდენიმე, წერილი იყო მოთავსებული; ეხლა იგი ეხება უკრაინას, თურქესტანს, კარელიას და სხვა ერების კითხვას. ბ. ვ. კოროსტოვეცის წერილი «საბჭოთა საქანელა და უკრაინა» აგვიწერს მოსკოვის იმპერიალიზმის ტალღებს, რომელნიც ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ხან აღმოსავლეთის, ხან დასავლეთის საზღვრებზე იჩენს საშიშ აქტივობას, და დაბეჯითებით ატარებს იმ აზრს, რომ უკრაინას და მასთან ერთად კაზაკების მხარეს და კავკასიას შეუძლიათ აქტიური როლის თამაში

ევროპის გადამჭრელ ანტიბოლშევიკურ ბრძოლებში. წერილი საბჭოთა კავშირის ეროვნებათა კითხვაზე (ავტორი კ. ბრაუნიას) ჯეროვანად ააშკარავებს ახალი კონსტიტუციის თაღლითობას და სიყალბეებს.

საბჭოთა კავშირის ეროვნებათა კითხვას სტალინური კონსტიტუციის მიხედვით არჩევს აგრეთვე ბერლინელი ოფიციოზი «ფელკიშერ ბეობახტერი» 18 დეკემბრის ნომერში, ვრცელ და ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო სარედაქციო წერილში. ეს ჯერ ეხება კავკასიის და თურქესტანის რამდენიმე რესპუბლიკებათა დანაწილებას. აღნიშნავს რომ აქ საქმე გვაქვს ძველ იმპერიალისტურ ხერხთან, მოსკოვის წითელი იმპერიალიზმის «divide et impera» ს პოლიტიკასთან და დასძენს:

«კავკასიის ერებს ერთმეორეთ მათი ინტერესების შეთანხმებულად დაცვის უფლება. იმავე დროს მცირდება ტფილისის, როგორც კავკასიის კულტურული ცენტრის მნიშვნელობა...

საგულისხმიეროა, რომ ამ წლის ივნისში მომხდარი პუბლიკაცია ახალი კონსტიტუციის პროექტისა სწორედ იმავე დროს მოხდა, როცა ემიგრაციაში მყოფმა საქართველოს, აზერბაიჯანის და ჩრდილო-კავკასიის წარმომადგენლებმა დიდის ზეიმით გააკეთეს საერთო დეკლარაცია, რომელშიაც სჩანს სურვილი კავკასიის ერთა თავისუფალი ფედერაციის დაარსებისა».

შემდეგ ის აღნიშნავს, რომ სტალინის კონსტიტუცია კიდევ უფრო ავიწროებს ცალკე რესპუბლიკათა იმ მცირე ფორმალურ უფლებებსაც, რომელთაც მათ ძველი კონსტიტუცია ანიჭებდა; რომ ე. წ. კავშირიდან გასვლის უფლება იყო და დარჩა ჩვეულებრივი დაბალი დემაგოგია და ურცხვი სიცრუე.

«სტალინური კონსტიტუციის სიფლიდე—დაასკვნის «ფ. ბ.»—უმაღლეს წერტილს აღწევს მე-13 ე მუხლში, რომელიც აცხადებს, თითქოს საბჭოთა კავშირი შემდგარიყოს დამოუკიდებელ რესპუბლიკათა ნებაყოფლობითი შეკავშირებისგან. ცნობილი ისტორიული ფაქტია, რომ უკრაინა, მას შემდეგ რაც მან 1917 წლის ოქტომბერში დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რამოდენიმე წლის განმავლობაში სუვერენული სახელმწიფო იყო, მაგრამ მოკლე დროში იგი ხელახლავ იქნა მოსკოვის მიერ დაპყრობილი. იგივე ბედი მოუმზადეს 1921 წლის გაზაფხულზე საქართველოს რესპუბლიკას, რომელსაც სრული მშვიდობიანობის დროს, როცა საბჭოთა რუსეთის ელჩი ტფილისში საქართველოს მთავრობას საბჭოთა რუსეთის კეთილგანწყობილებას და მეგობრობას ეფიცებოდა, წითელი ურდოები თავს დაესხენ, დაიპყრეს იარაღით და შეუერთეს საბჭოთა კავშირს».

ამ სტრიქონებს კომენტარიები არ სჭირია.

У.

ლტოლვილების ჯარში გაწვევა

როგორც გაზეთებიდან იციან მკითხველებმა, თანახმად 1928 წლის აპრილის კანონისა, სამხედრო ბეგარა უნდა მოიხადონ საფრანგეთში ყველა იმ უცხოელებმა, რომელთაც არ შეუძლიათ დაამტკიცონ თავიანთი ეროვნება, უკედ რომ ვსთქვათ არ ითვლება არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ (Les apatrids et ceux qui ne peuvent pas justifiés leur nationalité). ეროვნება აქ ნახმარია ქვეშევრდომობის ასრით.

ცხადია, რომ ეგ კანონი ვრცელდება, როგორც რუსებზე და სომხებზე, ისე ქართველებზეც.

ჯარში გასაწვევ ახალგაზდებმა მიიღეს მოწვევის ბარათები და წინადადება ხელი მოეწერათ ისეთი ფორმის განცხადებაზე, რომელიც მათ აპატრიდობას ადასტურებდა. ამან გამოიწვია პროტესტების მთელი რიგი. განსაკუთრებით ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტს არ შეუძლია აღიაროს თავისი თავი უსამშობლო პიროვნებად. ჩვენ გვაქვს ჩვენი სამშობლო, მაგრამ იგი დღეს იმყოფება ვერაგულად შემოსეულ მტრის დროებით ოკუპაციის ქვეშ ისე, როგორც სხვა ქვეყნებიც ყოფილან და არიან ასეთ მდგომარეობაში.

ამ პროტესტების შედეგად უნდა ჩაითვალოს, რომ სათანადო ორგანოებმა შესცვალეს განცხადების ფორმა და ახლა ჯარში გასაწვევმა ხელი უნდა მოაწეროს ისეთსავე საანკეტო ფურცელს, როგორზედაც აწერიებენ ხელს ფრანგ ახალგაზდებს; უნდა მისცეს ცნობები იმის შესახებ თუ სად და როდის დაიბადა, სად სწავლობდა, როდესაც მისი წლოვანების მიხედვით სამხედრო ბეგარა უნდა მოეხადა და სხვა. ამ განცხადებაში აპატრიდობაზე არაფერია თქმული, მაგრამ ფაქტიური მდგომარეობა მაინც ძველი რჩება და შესაძლებელია, რომ დღეს-ხვალ ქართველი ახალგაზდები ჯარში გაიწვიონ.

ამ მდგომარეობის შესახებ ჩვენი გაზეთის რედაქცია შეეკითხა ჩვენი ოფისის ხელმძღვანელობას, რომლისგანაც შემდეგი პასუხი მიიღო:

«როგორც კი დაიწყეს ჩვენი ახალგაზდების სამხედრო ბიუროებში მიწვევა, ჩვენ მაშინვე გადავდგით ნაბიჯები და მივაქციეთ სათანადო ხელისუფლების ყურადღება იმ განსაკუთრებულ მდგომარეობაზე, რომელშიაც ქართველი ემიგრანტული ახალგაზდობა იმყოფება. ჯერ გარკვეულად არაფრის თქმა შეგვიძლია იმის შესახებ, თუ რით გათავდება ჩვენი ცდა; ჩვენ ყოველივე ზომებს ვღებულობთ, რათა ქართველ მოქალაქეთა უფლებები სრულიად იქნეს დაცული კანონიერების ფარგლებში».

სამხედრო ბიუროებში იბარებენ და ხელს აწერიებენ როგორც იმ ახალგაზდებს, რომელთაც თავისი წლოვანებით ახლა უწევთ ჯარში გაწვევა, აგრეთვე იმათაც, რომელნიც 32 წელიწადს არ გადაცილებულან.

ბიბლიოგრაფია

სვიმონ ციციშვილი — ისტორიული რუქა «ძველი საქართველო ანუ გეორგია». ფასი 100 ფრანკი.

წინამდებარე ფერადებიანი რუქა, რომელიც ისტორიოგრაფიულად გადმოგვცემს საქართველოს ისტორიას, არის ნაშრომი დიდი დაკვირვებით და მდიდარი ისტორიული ცნობებით. ავტორს სიყვარულით და გულმოდგინებით შეუსწავლია საქართველოს, მისი მეზობელ სამეფოების ისტორიული და გეოგრაფიული მასალები და უკისრია ქართული «ისტორიული ატლასის» შედგენა, რაც, ეჭვს გარეშეა, უძვირფასესი განძი იქნება ქართულ მეცნიერებაში. მას ჯერ-ჯერობით შეუსრულებია ზემო დასახელებული რუქა, რომელსაც აქვს 2,5×1,10 მეტრი სიგრძე სიგანე მასშტაბით ერთი სანტიმეტრი უდრის ექვს კილომეტრს ბუნებრივ სივრცისას და წარმოდგენილია კავკასია და ძველი საქართველო: აღდგენილია საქართველოს ეთნიურ-პოლიტიკური საზღვრები, რის ფარგლებში მრავალ საუკუნის განმავლობაში ქართველთა ტომები, ერები კულტურულად და პოლიტიკურად ვითარდებოდნენ; ნაჩვენებია სამეფოების, საკურაპალატოების, საერისთავოების, საათაბაგოს და პატარა თემების საზღვრები; აღდგენილია სამასორმოცდაათზე მეტი ადგილი, სადაც ყოფილა ცნობილი ეკლესია-ტაძარ-მონასტრები და ვითარდებოდა სასულიერო კულტურა და მეცნიერება; ნაჩვენებია 360-ზე მეტი ციხე სიმაგრეები, ე. ი. ციტადელები, რითაც ხალხი იცავდა თავის დამოუკიდებლობას და სადაც სამხედრო თადარიგი მუშავდებოდა; ამასთანავე ნაჩვენებია 50 მდე ადგილი, სადაც იყო მეფეთა, კურაპალატთა, მთავრების და ათაბაგ-ფაშების საბრძანებელი (სასახლე, რეზიდენცია); რომაელების და ბიზანტიელების დროს ცნობილი ქალაქების და სიმაგრეების ადგილებიც ნაჩვენებია და რუქაზედვე მოყვანილია ქრონოლოგია ქართველ მეფეთა, კურაპალატთა, მთავრების, ათაბეგების და ფაშების, იმ სისტემით, რომ შეგვიძლია რუქაზედვე დავინახოთ ვინ სად და ვის დროს მეფობდა, მთავრობდა და ისტორიული პარალელიც გავავლოთ; იქვეა აღნიშნული სრულიად საქართველოს პატრიარქები, აფხაზეთ იმერეთის, ივერია-ქართლ კახეთის კათალიკოსები და საეპისკოპოსო ადგილები; ნაჩვენებია ზოგიერთი მეფის საფლავი, აღნიშნულია რუსეთის მიერ საქართველოს მეფობის, ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპობის ხანა და სხვადასხვა კუთხეების დაპყრობის თარიღები. ამასთანავე იქვე აღნიშნულია რუსეთის დაშლა, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენა და 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ თავდასხმა. ამ რუქის საშუალებით შეგვიძლია აღვადგინოთ კოლხეთის, ივერიის (იბერიის) და მესხეთის პროვინციების სახელები, სადროშოები და სხვა ცნობები; რუქაზე დამატებით მოყვანილია პატარა რუქა ევროპისა და წინა-აზიისა, გასაცნობათ ძველი საქართველოს პოლიტიკურ-რელიგიურ-კულტურულ ასპარეზისა. ეს პატარა რუქა გვაძლევს საშუალებას [illegible] აზრო წარმოვიდგინოთ ჩვენი ქვეყნის ისტორია და თანაც იქვეა აღნიშნული ქრისტიანული სექტების პატრიარქები: რომის, იერუსალიმის, ანტიოქიის, კონსტანტინეპოლის, უჩმიაძინის (ეჩმიაძინი), ალექსანდრიის და მიდიის (ნესტორიანების) და ქართველი კოლონიების კულტურული ცენტრები უცხოეთში. ამ ისტორიულ რუქაზე ნაჩვენებია საქართველოს მეზობელი სამეფოები, სახანოები, საბეგლარ-ბეგოები და მათი ადმინისტრაციული ცენტრები. ამრიგად, მშვენიერი და ძვირფასი შრომის ავტორი ამ რუქის საშუალებით გვაძლევს ჩვენ შეძლებას აღვადგინოთ ძველი საქართველოს ტერიტორია, ტომობრივი დანაწილება, ქრისტიანობისა და ფეოდალური საქართველოს მიერ დატოვებული მატერიალურ-კულტურული ნაშთები, ძეგლები და ქართველი ერის ისტორიული უფლებები, გამაგრებული ქართული დინასტიებით.

რუქის სარჩევის წიგნაკათ გამოქვეყნებას ავტორი გვპირდება მოკლე დროში, ხოლო «ისტორიული ატლასის» გამოქვეყნება, რომლის ნაწილი მზად არის და რაც დაუფასებელი საუნჯეა, სახსრის უქონლობის გამო შეჩერებულია.

იმედია, ყველა ქართველი სიამოვნებით შეიძენს ამ რუქას და უცხოეთის ქართველთა კოლონიები არ დაიშურებენ მის გავრცელებას.

რუქას შეძენა შეიძლება ავტორთან და
Office Georgienne, 38, rue Boileau. Paris (16).

N.

ქართული სამეცნიერო წრე

კვირას, 7 თებერვალს, 1937 წ. ნაშუადღევ. 3 საათზე Musée Sociale»-ის დარბაზში; 5, rue Las-Cases 5

ბატონი ექ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით

გაიმართება სხდომა

გიორგი წერეთლის

ხსოვნის პატივსაცემლათ.

მონაწილეობას მიიღებენ:

ა) ბიოგრაფია—გ. წერეთლისა—ბ-ნი მ. მელუა;
ბ) მოგონებანი—ბ-ნი ექ. თაყაიშვილი;
გ) მოხსენებანი: ბ-ნნი ი. მანწკავა, რ. არსენიძე;
დ) «კიკოლიკა, ჩიკოლიკა და კუდაბზიკა» ს ნაწყვეტს წაიკითხავს ბ ნი ს. ბერეჟიანი.

გამოვიდა და იყიდება

ნოე ჟორდანიას

ეკონომიური წარმატება და ეროვნება

ფასი პარიზში 5 ფრანკი.
პარიზის გარედ დაემატება გაგზავნის ხარჯი.
გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით:
M-r P. Sardjveladze
9, rue Seguier 9. Paris (6)

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuville.*

Le Gérant : A. LARGILLIÈRE.